საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყეიღებით და ჭიერებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 30 ივნისი. 2016 წ. №120 (8012), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნაციონალთა ტერორიზმის მსხვერპლი

სულხან მოლაშვილი:

მე უშუალოდ საკაშვილმა და ბოკერიამ მომკლეს!

იხ. 3 გვ.

„ნაციონალური მოძრაობა“ – ეს იყო ქვეყნის სახადი

4

ტანკის ქვეშ შესავარდნად იყავით მზად!

ვინ ვერ ასწრებს სკამზე დაჯდომას?

5



ოლიმპიური ჩემპიონი



10

... ექვსეულში ვლადიმერ გოგოლაძეს დავაყენებდი

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

სხვა გამოსავალი არც ხელისუფლებას და არც ადამიანებს უკვე აღარ გვაქვს

6

„ეს სისასტიკე მთელმა მსოფლიომ საერთო ძალისხმევით უნდა შეაჩეროს!“

თურქეთში მომხდარ ტერაქტს **საქართველოს პრემიერ-მინისტრი** საგანგებო განცხადებით ეხმაურება.

„უკიდურეს მწუხარებას გამოვთქვამ სტამბოლის ათათურქის აეროპორტში მომხდარი აფეთქებების გამო, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე შეეწირა, არიან დაშავებულებიც.შეძრწუნებული ვარ უდანაშაულო ადამიანების მიმართ ჩადენილი ვერაგული აქტით. ეს სისასტიკე მთელმა მსოფლიომ საერთო ძალისხმევით უნდა შეაჩეროს.ამ მძიმე წუთებში გამძლეობას ვუსურვებ თურქ ხალხს და თურქეთის მთავრობას,“ – ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პრეზიდენტი სტამბოლის აეროპორტში მომხდარი აფეთქებების გამო შეშფოთებას გამოთქვამს

„შეძრწუნებული ვარ სტამბოლის ათათურქის აეროპორტში განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. ამ განსაცდელის ჟამს ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს, მტკიცე თანადგომას ვუცხადებ თურქეთის ხელისუფლებას და თურქ ხალხს ტერორიზმთან ბრძოლაში,“ – ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყება თურქეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ხალხმრავალ ადგილებში გადაადგილებისგან

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სტამბოლში ისევე როგორც თურქეთის მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა აყვანილი.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თურქეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით თხოვს, დაუკავშირდნენ ცხელ ხაზზე საქართველოს საელჩოს ქ. ანკარაში (+90 312) 690-30-40), ასევე საქართველოს გენერალურ საკონსულოს ქ. სტამბოლში (+90 541) 818 44 00 და საქართველოს გენერალურ საკონსულოს ქ. ტრაბზონში (+90 541) 326-22-26; ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 09:00-დან 18:00 საათამდე – (+995 32) 294 50 50; 24 საათის განმავლობაში – (+995) 577 98 40 20; “, – ნათქვამია განცხადებაში.

გვინდა, საქართველო რაც შეიძლება მალე ვიხილოთ ნატოსა და ევროკავშირში!

ეს განცხადება, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლ ვაშჩიკოვსკიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების მხარდასაჭერად პოლონეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები თანამშრომლობის ახალ ფორმატზე შეთანხმდნენ.ის ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარების მიზნით „თბილისის კონფერენციის" შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. საუბარი შეეხო ნატოს ვარშავის მოახლოებული სამიტის მნიშვნელობასაც.

„გვინდა რომ საქართველო, რაც შეიძლება მალე ვიხილოთ ნატოსა და ევროკავშირში. მას მერე რაც საქართველო და რეგიონის სხვა ქვეყნები შევლენ ევროკავშირსა და ნატოში, ჩვენ საბოლოოდ მივიღებთ ევროპას, როგორც ერთ მთლიან დემოკრატიულ კონტინენტს. ევროპული პროექტი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დასრულებული. ველით, რომ ნატოს სამიტის შემდეგ, აღმოსავლეთ ფლანგზე უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით, ბევრი გადაწყვეტილება იქნება მიღებული," — განაცხადა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლ ვაშჩიკოვსკი.

„ქართული ოცნება" ევთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე გიგი წერეთლის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების" ლიდერ გია ვოლსკის განცხადებით, ევთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე „ქართული ოცნება" სოციალ-დემოკრატების კანდიდატს, ავსტრიის პარლამენტის თავმჯდომარეს უჭერს მხარს.

ამის შესახებ ვოლსკიმ პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის მიხედვით, გიორგი მარგველაშვილი აღნიშნულ პოსტზე გიგი წერეთლის კანდიდატურას უჭერს მხარს.

„პათოსი მესმის, რომ კარგია, ქართველი იყოს არჩეული და არა მარტო საქართველოში, სხვა არჩევნებზეც, მაგრამ, ამ შემთხვევაში, დღის წესრიგში დგას ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, ერთი მხრიდან, სახალხო პარტიის მიერ წარდგენილი და მეორე მხრიდან, ავსტრიის პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც უამრავი ქვეყანა უჭერს მხარს, პარტიული კუთვნილების მიუხედავად . ასე რომ, თუკი ჩვენ ერთ საკითხს ვაყენებთ, შეიძლება მეორე საკითხის მიმართ ცოტა არაეთიკური გამოჩნდეს, ანუ იმ ქვეყნების მიმართ ვინც სოციალ-დემოკრატების კანდიდატს უჭერენ მხარს, ისევე როგორც „ქართული ოცნება", — განაცხადა ვოლსკიმ.

შეგახსენებთ, რომ ევთოს საპარლამენტო ასამბლეა თბილისში 1-5 ივლისს გაიმართება. ასამბლეის ბოლო დღეს პრეზიდენტის არჩევა მოხდება.

აღნიშნულ პოსტსზე გიგი წერეთლის კანდიდატურა ევროპის სახალხო პარტიამ წარადგინა.

ქვეყნის რეპუტაცია მაშინ შეილახება, თუ გიგი წერეთელს აირჩევენ!

ევთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილი გიგი წერეთელი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ადეკვატური პოზიცია და არ უნდა შელახოს ქვეყნის რეპუტაცია. მისი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები არაკომპეტენტური, პოლიტიკურად უმწიფარი და მავნებლურია.

„ევთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობა ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლისთვის და ნებისმიერი ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი მოვლენა იმიტომ, რომ ეს არის უნიკალური ფორუმი, რომელიც იძლევა საშუალებას იყო ფოკუსირებული არა მარტო შენი ქვეყნის პრობლემებზე და ეს პრობლემები საქართველოს უსაფრთხოების და თანამშრომლობის თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი აქვს. ჩვენ ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს, ასევე გვაქვს დევნილების პრობლემა და ვართ ევროპული ინტეგრაციის აქტიურ ფაზაში. ყველაზე ნაკლებად ჩახედული ადამიანიც კი მიხვდება, რამხელა მნიშვნელობა აქვს ასეთი ინსტიტუტის პრეზიდენტად საქართველოს წარმომადგენლის ყოფნას", — განაცხადა გიგი წერეთელმა.

გიგი წერეთელს ევთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტმაც. წერეთელმა მის პოზიციას ადეკვატური უწოდა.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქვეყნის რეპუტაცია მაშინ შეილახება, თუ გიგი წერეთელს აირჩევენ!

კახა კახიშვილმა ტრეისი ნევილი დააჯილდოვა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) პროგრამის ხელმძღვანელი ტრეისი ნევილი მადლობის სიგელით დააჯილდოვა. ტრეისი ნევილს აღნიშნულ თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადა ამოეწურა.

კახა კახიშვილმა ტრეისი ნევილს და INL-ს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან წარმატებული თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში INL-ის დახმარებით მრავალი სიახლე დაინერგა. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეები ერთობლივ მუშაობას მომავალშიც განაგრძობენ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია INL-თან წარმატებით თანამშრომლობს. ამერიკულ მხარესთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დაინერგა მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით კლასიფიკაციისა და გადანაწილების მეთოდი, სამინისტროს ათობით თანამშრომელი გადამზადდა და აიმაღლა კვალიფიკაცია აშშ-ში, ასევე, №16 პენიტენციურ დაწესებულებაში დაიწყო მსჯავრდებულთა პროფესიული პროგრამა კულინარიის ხელოვნებაში და სხვა.

შსს-ს განცხადება: უსაფრთხოების ზომები დაცულია!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქვეყნის საზღვრებზე და აეროპორტებში, ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტზე არსებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, პრევენციული ღონისძიებები მუდმივად ხორციელდება.

საკონტროლო-გამტარი პუნქტების მუშაობა აეროპორტებში, სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე არსებული ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების სრული და ეფექტური გამოყენებით მიმდინარეობს.

საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის განხორციელების მიზნით, სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა სრულ მზადყოფნაშია. შსს-ს სასაზღვრო პოლიცია მაქსიმალურად აკონტროლებს სახელმწიფო საზღვრის ე.წ. მწვანე ზოლს."

* * *

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თურქეთში მომხდარი ტერაქტის შემდეგ ადგილზე მობილიზებული არიან სამართალდამცველები.

ათათურქის აეროპორტში მომხდარი აფეთქების გამო თბილისიდან სტამბოლის მიმართულებით „TURKISH AIRLINES"-ის ორი რეისი გაუქმდა. საღამოს 23 საათზე სტამბოლის მიმართულებით გაფრენილი თვითმფრინავი კი ანკარაში დაჯდა. ასევე გაუქმდა თელ-ავივის რეისიც, თუმცა როგორც აეროპორტში აცხადებენ, მიზეზი არ არის მომხდარი აფეთქება.

◎ ეროვნული ვალუტა

ლარი რეგიონში ლიდერია... გაუფასურების თვალსაზრისით

ლარი რეგიონის ყველაზე არასტაბილური ვალუტაა. ბოლო დღეების 10%-იანმა დევალვაციამ, პრობლემები ყველას თვალნათლივ დაანახვა. შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას ყველა გაურბის. მთავრობას და ეროვნულ ბანკს ყველაფერი თვითდინებაზე აქვთ მიშვებული.

სწორედ ამიტომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა შესაძლოა, საკანონმდებლო ორგანოში ეკონომიკური გუნდის და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები დაიბაროს. ჯერჯერობით უცნობია, როდის მოიწვევს პარლამენტის წარმომადგენელი კომიტეტის სხდომას, თუმცა ცნობილია, რომ დეპუტატს კითხვები ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებით აქვს.

„იმდენად, რამდენადაც ორივე მხარე თვლის, რომ ზედამხედველობის სააგენტო არ უნდა შექმნილიყო, რაც არასწორად მიმაჩნია, პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გადანაწილდეს მათზე. კომიტეტს მოვიწვევთ, ამ დღეებში გერმანიის დელეგაცია გვყავს და ახლა ამას ვერ მოვახერხებთ, უკვე გაწერილია დღის წესრიგი. ეროვნულმა ბანკმა არასაკმარისად იმუშავა ყველაფრის გარე ფაქტორებზე გადაბრალება არ მიმაჩნია სწორად", — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

მთავრობა კი ყველაფერს საგარეო ფაქტორებს აბრალებს და პასუხისმგებლობის აღებას არ აპირებს. ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ლარის გაუფასურებას ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილებას უკავშირებს და მოსახლეობას კონვერტაციის რეკომენდაციაც მისცა.

„ბრექსიტის" შედეგების გამოქვეყნების შემდეგ რეგიონის ვალუტები მართლაც გაუფასურდა, თუმცა, მათ შორის, ლიდერი მაინცდამაინც ლარი აღმოჩნდა. მაგალითად, აზერბაიჯანული მანათი 1,50-დან 1,54-მდე დაეცა, რუბლი — 63,5-დან 65,5-მდე. ბრიტანული ამბები თითქმის არ უგვრძვნია უკრაინულ გრივნას, ხოლო სომხური დრამი, როგორც ყოველთვის, თავს სტაბილურად გრძნობს. კიდევ ერთი ტენდენცია ისაა, რომ მერყევი ვალუტები მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა, ლარი კი ვარდნას განაგრძობს.

ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე ამბობს, რომ ზოგადად, დოლარის გამყარება ქართულ ეკონომიკაზე ყოველთვის აისახება, რადგან ღია ეკონომიკის ქვეყანა ვართ, გვაქვს მცურავი კურსი. აქედან გამომდინარე, დოლარის კურსის ცვლილებამ შეიძლება ლარის კურსის გარკვეული კორექტირებაც მოახდინოს.

„მთავარია ის, რომ ჩვენ ამ გამოწვევას, ახალი წონასწორობის ნიშნულის მოძებნას, პანიკურად და შიშით არ უნდა შევხვდეთ. ეს ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენაა. კურსის კორექტირება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესაბამისად ყოველთვის ხდება, ადგილი აქვს ხოლმე გარკვეულ გაუფასურებას, რასაც შემდგომ გამყარება მოჰყვება.

უმთავრესი არის ის, რომ ჩვენ ამ პროცესში ხელოვნურად არ უნდა ჩავერიოთ, ხელოვნური ინსტრუმენტების გამოყენება პირიქით, უფრო აზიანებს ქართულ ეკონომიკასა და ბიზნესს, ვიდრე რაიმე სარგებელს აძლევს. აქედან გამომდინარე, მოლოდინები უნდა გვქონდეს ყოველთვის რაციონალური და პრაგმატული. გარკვეული აჟიოტაჟი ამას არ უნდა მოჰყვეს. ის, რომ ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი გაუფასურდა და შეიძლება ევროც გაუფასრუდეს, ამან ქართული საზოგადოება პანიკური შიშით არ უნდა მოიცვას. ლარის კურსის მცირედი ცვლილებები და კორექტირებები დასაშვებია და რაც მთავარია, ეს არის დროებითი".

საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი დავით იაკობიძე კი ეროვნულ ბანკს უმოქმედობაში ადანაშაულებს. როგორც მან „ბიპიენს" განუცხადა, სხვადასხვა კორპორაციებსა თუ ბანკებს, დაუდგათ ვალდებულებების გასტუმრების პერიოდი და ერთბაშად ძალიან დიდი მოცულობის უცხოური ვალუტა გავიდა ქვეყნიდან.

„მიმაჩნია, რომ ეროვნული ბანკი მაინც უნდა ჩარეულიყო პროცესებში. ზოგადად, ეროვნული ბანკი იმისთვის არსებობს, რომ მისი უშუალო მონაწილეობით უნდა მიმდინარეობდეს ყველა პროცესი. ზოგადად, სანამ იარსებებს მოსაზრება, რომ ეროვნული ბანკი ფასების სტაბილიზაციაზეა პასუხისმგებელი და არა ვალუტის კურსზე, მანამდე იქნება მსგავსი პრობლემები და მსგავსი კითხვები. იმდენად ცხადია, მისი ეს ვალდებულება, რომ ფუნქციებშიც კი არ უწერია. სიტუაციას უნდა შევხედოთ, ასეთ ჭრილში, რა სიტუაციაც არ უნდა იყოს, როდესაც საუბარია ვალუტის კურსზე, ეროვნული ბანკი ამ პროცესის მონაწილეა", — აღნიშნა იაკობიძემ.

ბექა დანელია

„გადავახურდავოთ ვალუტა მაშინ, როცა ის ჩვენ გვჭირდება"

კიდევ ერთხელ აცხადებს ეკონომიკის მინისტრი და პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი.

„მე ავხსენი, რომ Brexit-მა გავლენა მოახდინა დოლარის გამყარებასა და ევროს გაუფასურებაზე, თუმცა მინდა ვთქვა, რომ ყოველ ჯერზე, ლარის ყოველდღიურ ცვლილებაზე კომენტარის გაკეთება არ არის სწორი, რადგან ეს არის თავისუფალი და ღია ბაზარი, ბაზარზე არის მოთხოვნა-მიწოდება და მასზე ნამდვილად მოქმედებს როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორები. მინდა მივუწოდო მოსახლეობას, კომპანიებს, რომ არ ვითამაშოთ ვალუტის კურსის მოლოდინებზე, გადავახურდავოთ ვალუტა მაშინ, როცა ის ჩვენ გვჭირდება", — განაცხადა ქუმსიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობა“ – ეს იყო ქვეყნის სახადი

საფრანგეთიდან საშინელი ცნობა მოვიდა – იქ სამკურნალოდ კიდევ ერთხელ წასული **სულხან მოლაშვილი** დაიღუპა. ამ მართლაც ჩინებული ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცის უღვთო სიკვდილმა ერთხელ კიდევ დასტურყო, რომ ქართველთმოძულე სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ პირწავარდნილი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელმაც თითქმის მთელი ათი წელიწადი საქართველოში სიკვდილი სიცოცხლეზე მაღლა დააყენა და თავის გემოზე ალაღა. ამ ხნის მანძილზე ასობით და იქნებ ათასობით უდანაშაულო ადამიანი ეწამა, ციხის კედლებში გამოემწყვდა, დაენგრა ცხოვრება, დაავადდა, სიცოცხლე მოესწრაფა.

საქართველო ფაქტობრივად ერთ დიდ საპყრობილედ გადაიქცა, სადაც ნაციონალები შურისძიების მიზნით სასტიკად აწამებდნენ და სიკვდილის პირად მიჰყავდათ ის ადამიანები, ვინც თუნდაც ოდნავ მაინც არ იზიარებდა ნაციონალების აშკარად ფაშისტურ იდეოლოგიას.

ადამიანის სახედაკარგულ ნაციონალთაგან ერთერთი ასე წამებული და ტანჯული იყო საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, ვისი სიკვდილიც ბოროტმოქმედი ნაციონალების საბოლოო განაჩენად უნდა იქცეს, რომელი განაჩენის ძალითაც ჯერ კიდევ ავად მოყელყელავე ნაციონალებს არა მარტო 2016 წლის არჩევნებში უნდა აეკრძალოთ მონაწილეობა, არამედ საერთოდ უნდა წაერთვათ პოლიტიკური არსებობის უფლება და გასამართლდნენ, რათა განრისხებული ერის ეს სამართლიანი გადაწყვეტილება მწარე გაკვეთილად იქცეს ყველა იმ პოლიტიკური პარტიისთვის, რომელიც ტერორიზმის, პროვოკაციისა და დემაგოგიის გზით შეეცდება ქვეყნის სათავეში მოსვლას და ქვეყნის ყაჩაღურად ძარცვას.

წამებული სულხან მოლაშვილის სიკვდილი საბოლოო წყალგამყოფი უნდა გახდეს დამნაშავე ნაციონალებსა და ქართველ ხალხს შორის.

და თვითონ სულხანის შეფასება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სახადია, უნდა გავიგოთ, როგორც ამ ჯოჯოხეთურად სიცოცხლემოსწრაფებული ახალგაზრდა ქართველი კაცის ანდერძი: **რახან შევძელით და ასე თუ ისე, ერთხელ უკვე მოვიხადეთ ეს სახადი, მეორედ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, აღარასოდეს არ უნდა შევიყაროთ...**

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

სულხან მოლაშვილის ბოლო ინტერვიუ, რომელიც მასთან „რეპორტიორმა“ ჩაწერა

„ოცნებამ“ სულზე მოგვისწრო....

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი „რეპორტიორთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს და აძვე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ ანტისახელმწიფოებრივ გეგმებზე საუბრობს.

– ბატონო სულხან, როგორ შეიცვალა ქვეყანაში ვითარება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ?

– საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რამხელა საშიშროება იყო „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნისთვის. „ნაციონალური მოძრაობა“ – ეს იყო სახადი, ავანტიურისტების, კრიმინალების თავშეყრა, რომელიც განხორციელდა პროდასავლური ნიღბის ქვეშ და რომელსაც ამოძრავებდა ერთადერთი მიზანი – ქართველი საზოგადოების ძალისმიერი დამორჩილება. ეს ყველაფერი ვრცელდებოდა სასამართლო სისტემიდან დაწყებული, არასამთავრობო სექტორით დამთავრებული. ეს ეხებოდა იმ არასამთავრობო სექტორსაც, რომელიც ახლა გააქტიურდა, წლების მანძილზე კი საერთოდ არ ჩანდნენ და მათი კნავილიც არ ისმოდა. ნუთუ არაფერი ჰქონდათ მაშინ სათქმელი და გასაპროტესტებელი, როცა ადამიანებს ქუჩაში ხვრეტდნენ?! ჩვენი ყური, გონება და ცნობიერება, სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში, შეეჩვია ისეთ ფრაზებს, როგორიცაა ხალხის ქუჩაში დახვრეტა, ადამიანის წამება, ქონების წართმევა და ათასი უბედურება. ავტორიტარიზმი სხვა კი არაფერია. ფეხქვეშ გაითელა სასამართლო სისტემა, აურაცხელი ადვოკატი გვყავდა ციხეში და სტრასბურგის სასამართლო აცხადებდა, რომ ჩვენ გვყავდა პოლიტიკური დისკრიმინაციის ნიშნით დაკავებული პირები. მაგალითად ჩემი საქმეც გამოდგება. მაშინ სააკაშვილი ამ შეფასებას დაეთანხმა, რადგან კედელთან მივაყენეთ და რეალობას ვერ გაექცა. თუკი თავად აღიარეს, რომ პოლიტიკური დისკრიმინაციის მსხვერპლი ადამიანები ჰყავდათ ციხეებში, ახლა რატომღა ესარჩლებიან სხვას?! რა მორალური უფლება აქვთ, რომ ვინმეს გამოესარჩლონ, ჭკუა დაგვარიგონ და დისკრიმინაციაზე გვესაუბრონ?! სულ მცირე, სირცხვილის გრძნობა უნდა ეყოთ!

ვინ თქვა, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და პოლიტიკა ბინძური ხელებით კეთდება?! ნურას უკაცრავად! გააჩნიათ ადამიანებს, თორემ პოლიტიკაში ძალიან ბევრი ადამიანის ჩამოთვლა შეიძლება, ვინც წმინდა ხელებითა და სუფთა გულით აკეთებდა საერო და საკაცობრიო საქმეს. თუნდაც ექვთიმე თაყაიშვილი. ეს წმინდანად შერაცხილი ადამიანი პოლიტიკოსი არ იყო, რომელიც ქვეყნის საუნჯეს წლების განმავლობაში ინახავდა? ეს რა, პოლიტიკა არ იყო? აბა ყოფილიყო მის ადგილას ბინძურხელებიანი ადამიანი, ვნახავდით, როგორ მოეკიდებოდა ამ ყველაფერს.

აი, ამ ყველაფერს დამატებული კიდევ უფრო მეტი საშინელება მოელოდა საქართველოს, რომ არა „ქართული ოცნება“. ასეთ საშინელებას ჩამოგვაშორა „ქართულ ოცნებად“ წოდებულმა ხალხის ერთობამ. ეს ყველაფერი უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება გახლდათ. როგორც არ უნდა აკრიტიკონ ბატონი ბიძინა, ერთი რამ ცხადია – მას არ სჭირდებოდა არც სადეპუტატო პრივილეგიები, არც საპრემიერო თანამდებობა ხიბლავდა და ის იყო საიმისოდ შეძლებული, რომ ეს ყველაფერი არ დასჭირვებოდა. მოდით, კითხვა ასე დავსვათ, გაწირა თუ არა მან თავისი კეთილდღეობა, რისკის სასწორზე შეაგდო თუ არა საკუთარი ოჯახის ბედი და მომავალი? ამ ადამიანმა ძალიან დიდი რისკი გასწია.

მაგრამ, თურმე, ასეთ დროს, რადიკალური ცვლილებები ვერ ხდება. ეს არ არის ქირურგიული ოპერაცია, რომ აპენდიქსი ამოიღო და პაციენტს რამდენიმე დღეში უშველო. როგორც ჩანს, მაშინ სააკაშვილის მოსაშორებლად პოლიტიკური პარტიების გაერთიანება აუცილებელი იყო. ამან კი გამოიწვია ის, რომ ხელისუფლება დაკომპლექტდა იმ პარტიებითაც, რომლებიც საზოგადოებისთვის მიუღებლები არიან. „ქართულ ოცნებას“ კომპრომისზე წასვლა მოუწია.

– რომელ პარტიებს გულისხმობთ?

– კომპრომისში „რესპუბლიკელებისა“ და სხვების გამოჩენას ვგულისხმობ. მაგრამ, ხომ გეუბნებით, როდესაც ასეთ კომპრომისზე მიდიხარ, იმათაც მადა უჩნდებათ. როგორც კი იგრძნეს, რომ რაღაცაში საჭირონი იყვნენ, მადა გაეხსნათ.

სააკაშვილის პერიოდში ასეთ პარტიებს ერთჯერადი მოხმარებისთვის იყენებდნენ და შემდეგ პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიებმა ეს ყველაფერი მშვენივრად იცოდნენ, თავიანთი თამაში წამოიწყეს და ახლა გვამადლიან, რომ ხელისუფლებასთან ერთად გაიზიარეს გარკვეული პასუხისმგებლობები. ამიტომ რჩებიან თურმე თანამდებობებზე. ვერ გაიგეს, რომ აღარ არიან კოალიციის წევრები. აღარ არიან იმ ლეგიტიმაციის მატარებლები. მიბმული სათადარიგო ბორბლებივით არიან.

„რესპუბლიკელები“ მიხეილ სააკაშვილის იდეოლოგიური თანამეცხედრეები და სულიერი მეგობრები იყვნენ ოდითგანვე და შემდეგ მიეტმასნენ „ქართულ ოცნებას“.

აი, ამ ბარგით და ამ სიმძიმით მოდის „ქართული ოცნება“ დღემდე. ამიტომ, ამ მძიმე პირობებში, ჩვენ მას მსგავსი პარტიების არსებობა უნდა მივუტევოთ. პირადად მე, როგორც ამომრჩეველი, მოქალაქე მივუტევებდი და ჩემს თანამოქალაქეებსაც ამას მოვუწოდებ. ასეთ ხელისუფლებას თუ რამე შეეშალა, უნდა მივუტევოთ, რადგან მათ გვაჩუქეს უმთავრესი რამ – სიცოცხლის უფლება. გვაჩუქეს თავისუფლება. „ოცნებამ“ მართლაც სულზე მოგვისწრო.

– რა პროგნოზები გაქვთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე?

– „ქართული ოცნება“ მიიღებს მისთვის საჭირო ხმებს. ზუსტი ციფრის დასახელება გამიჭირდება. მაგრამ, ვფიქრობ, რომ თუკი „ქართული ოცნება“ გარკვეულ პარტიებთან გაერთიანდება, ოღონდ არა ისე, როგორც ეს 2012 წელს იყო, უმრავლესობას ნამდვილად მოიპოვებს.

„ქართული ოცნების“ ფიასკოს შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს სააკაშვილის მახინჯი რეანიმაციის საფრთხე. ეს არ არის არც დაშინება და არც არაფერი. მე უბრალოდ ასე ვფიქრობ. ღმერთმა ნუ გაგვითენოს ის დღე, როცა პარლამენტში „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ თანაბარი რაოდენობა იქნება. ეს იქნება საქართველოს უკან დახევა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში და ეს იქნება თითით საჩვენებელი სასაცილო ქვეყანა.

– მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს და ექს-პრეზიდენტი საქართველოში დაბრუნდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია მისი განცხადება და როგორ დახვდება საზოგადოება სააკაშვილს?

– სულ რომ ტანკებით შემოვიდეს სააკაშვილი, ჩვენ წინ უნდა გავუწვეთ! პირადად მე, ასე მოვიქცევი. პირველი ვიქნები მათ შორის, ვინც ამ ტანკს წინ გაუწვება. უმჯობესია, გავნადგურდე, ვიდრე სააკაშვილი ვიხილო ჩვენს ქვეყანაში. ეს უნდა დამთავრდეს.

მარტო თავისი შვილის თანაკლასელების 15 მამა ჰყავს ციხეში გამომწყვდეული. ეს ნორმალური კაცის გაკეთებულია?! ეს არის კაცი, რომელიც სამშობლოს გაყიდის, რომ სხვა ქვეყანაში თანამდებობა მიიღოს. ეს არის კაცი, რომელიც ციხეებს აშენებდა და ძეგლებს ანგრევდა. მას სულიერი არაფერი გააჩნია. ეს არის კაცი, რომელიც ელაქუცებოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ფარულ კადრებს იღებდნენ და აფინანსებდნენ ამ ყველაფერს. **ღმერთმა დაგვიფაროს ეს შიზოფრენიული მოვლენა ქართულ სინამდვილეში კვლავ ვიხილოთ.**

მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ სააკაშვილი არჩევნების წინ გეგმავს ე.წ. სპეცოპერაციას, რომელიც მიზნად ისახავს თავისი აგენტების ჩანერგვას, რომლებიც ისედაც ბევრნი არიან სახელისუფლებო სტრუქტურებში, რათა სიგნალის მიცემისთანავე მოხდეს მათი მობილიზება და სიტუაციის არევა. ისინი ცდილობენ, რომ ვითომდა გაყალბებული არჩევნების კვალობაზე საქართველოში დესტაბილიზაცია მოხდეს, გასროლა მოხდეს.

– უნდა დაბრუნდეს თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში?

– ეს მისი პირადი საქმეა. პირადად მე მივესალმებოდი ამ ფაქტს. ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, გამკლავებოდა იმ სიძნელეებს, რაც ქვეყნის წინაშე არსებობდა. ვიტყოდი, რომ პოლიტიკურ სივრცეში ერთ-ერთი უიშვიათესი გამონაკლისია, რომელიც უშეცდომოდ თამაშობს. კარგი იქნება, თუ მისი თანამოაზრეები მისგან ბევრ რამეს ისწავლიან. უპირველეს ყოვლისა, თავმდაბლობას, მოთმინებას და გადაწყვეტილების მიღებას იმ შემთხვევაში, როდესაც კარგად აწონი. თუკი ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება, ეს ძალიან კარგი იქნება.

ნენე სტეფანიშვილი

sic

ჩვენ ტერორიზმს სირიაში ვებრძვით, ეს მაშინ, როცა ნაციონალების სახით ტერორისტები თავიანთ „ცრუსთავ-2“-იანად ჩვენ გვერდით განაგრძობენ მავნებლურ ტერორისტულ ბოროტმოქმედებას!..

ტანკის ქვეშ შესავარდნად იყავით მზად!

ებრაელები წიგნის ხალხია (ბიბლიაზეა ლაპარაკი).

ჩვენ პარტიების ხალხი ვართ.

ქართველს ნუ აჭმევ, ნუ ასმევ, ოღონდ რომელიმე პარტიის მანდატი ჩაუკუჭე ჯიბეში.

მნიშვნელობა არა აქვს, რა სახელწოდების, მიმართულების და ფერის იქნება პარტია იგი. მთავარია, პოლიტგაერთიანება იყოს.

და არის თავშესაფარებელი ამ პოლიტგაერთიანებების რჩევა-ძიება, გადარბენ-გადმორბენა. ამ გნიასში კაცთა თანაბრად ქალებიც მონაწილეობენ.

ერთ მათგანს ხშირად ვხედავთ ტელეეკრანებზე – წყნარი, უპრეტენზიო, თითქოს არაფრით ყურადღებამისაქცევი გარეგნობის ამ ქალბატონს, ჩვეულებრივ ყოფით შემთხვევაში ერთადერთ იდილიურ განზომილებაში თუ წარმოიდგენ – ჩვილატატებული „ჯუ-ჯუს“ ძახილით როგორ აპურებს ქათამ-ინდაურს.

მაგრამ ეს წარმოსახვა მცდარი და მაცდურია, უფრო მეტიც, საბედისწერო დაბნეულობაა, რომელიც შეიძლება ძმრად წარმოგდინდეს.

SIC! თავის დროზე სწორედ მან აღმოაჩინა, რომ „ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი ჯარი“. როგორია! თუნდაც მარტო ეს მიგნება ეყოფოდა უკვდავებისთვის.

ჰოდა, გამოდის ტელევიზიით ყოველდღე ეს გადაცმული ლედი ტეთჩერი თუ მადამ ვონგი (ვთქვათ მისი ყოვლად მშვიდობიანი სახელიც – ფიქრია) და საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის სიბრძნეში გვარწმუნებს.

ალბათ, ამიტომაც დადრეიფობდა იგი წლების მანძილზე პარტიიდან პარტიაში დაუსრულებლად, რათა საბოლოოდ სწორედ იქ, სადაც ახლა დგას – ავლაბრის სასახლეში – აეგიზგიზებინა თავისი ორატორულ-რევოლუციური ნიჭი პრეზიდენტის მრჩევლად ტრანსფორმირებულს.

ყოჩაღ, დედაო ეფემია!

თუმცა, სიტყვა გამიგრძელდა, თანაც ქალბატონი ფიქრია სულაც არ არის უნიკუმი.

სხვები, მაგალითად ელენე ხოშტარია, თამარ ჩერგოლეიშვილი, ეკა კვესიტაძე თუ ირმა ნადირაშვილი სხვა გეზით მიუყვებიან არჩეულ პოლიტიკურ გზას.

ამდენად, ჩვენ პარტიების ხალხი ვართ!

მთავარი სახელწოდების მოგონებაა.

ეს არის ყველაზე რთული საქმე მთელ ამ წამოწყებაში.

მაგრამ ჩვენ ნიჭიერი ხალხი ვართ და სიძნელეებს იოლად ვძლევთ.

ჰოდა, ჩეჩქად გვაქვს სახელითა და შინაარსით კრამიტებივით ერთმანეთის მსგავსი პარტიები. მათ დასახელებებში 20-ჯერ მეორდება „დემოკრატიული“, 17-ჯერ – „ეროვნული“, 11-ჯერ – „სოციალური“, 10-ჯერ „ქრისტიანული“ და ა. შ.

ძალზე დიდი ჯაფა ადგას სიტყვა „ნაციონალურს“. ოღონდ ეს ოფლისღვრა მანამდე დაიწყო, სანამ ასპარეზზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოჭენდებოდა და საყოველთაო ბუქს დააყენებდა. ჩვენი მშობლიური „ნაცების“ გარდა, საქართველოს პოლიტიკურ კაბადონზე ჭიატებენ (ოღონდ ერთობ უღიმღამოდ, რის გამოც მათი შეუიარაღებელი თვალით დანახვა შეუძლებელია): ნაციონალური პარტია; ქართველ ნაციონალისტთა ერთობა; ნაციონალური მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ნაციონალური მოძრაობა „საქართველოს გადასარჩენად“.

„მიყვარხარ მთაო, ტიალოც“, შესაბამისად, არის საქართველოს მთიელთა პოლიტიკური ლიგა და არის საქართველოს მთიელთა კავშირიც.

ახლა ესენი ვნახოთ: ოჯახის ერთობა; ტრანსპორტელთა პარტია (ოღონდ აქ მითითებული არ არის მხოლოდ რკინიგზელებზეა ლაპარაკი, ავტობუსელებზე, მიკროავტობუსებზე თუ ტაქსებზე, ან ყველაზე ერთად); უმუშევართა დამოუკიდებელი ერთობა; ინტელიგენციის კავშირი; წესრიგის პარტია(?!); ღარიბთა დაცვის პარტია; ვაზის პარტია; საქართველოს ადვოკატები; ეკონომისტთა კავშირი; სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“; იბერიულ-კავკასიური მოძრაობა „ჭყონდიდელის ეროვნული ლასკარი“(!!!); პოლიტიკური პარტია „ქიზიყი უბატონო ქვეყანა“ (ალბათ მოკლედ შეიძლება „კამბეჩოვანიც“ ვუწოდოთ); ლექტორთა კავშირი; სახალხო კაპიტალიზმის პარტია; ეროვნულ-ინტელექტუალური პარტია; პოლიტიკური გაერთიანება „ერის ხსნის (ალგეთელთა) კავშირი“ (ალბათ ალგეთს ლეკვები მგლისანი რომ დაიზრდებიან, იმათი); პოლიტიკური პარტია „ხმა დედისა და ხმა ერისა“ (ძალაუნებურად პოპულარული სიმღერა აგედევნება „დედიშენის ჭაღარამ, ჩემი გული დაღარა“...).

მაგრამ ერთი მაინც გამორჩეულია – პოლიტიკური გაერთიანება „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“! ძალაუნებურად წარმოიდგენ, როგორ ჩაუბღუჯავს ხელში ამ პარტიის თავმჯდომარეს ხელყუმბარების შეკვრა და ტანკს უვარდება მუხლუხებში... კაცმა რომ თქვას, მას უფლება აქვს, არჩევანი გააკეთოს: უნდა ტანკს შეუვარდეს და უნდა – ტროლეიბუსს, მაგრამ მისი პარტიის წევრებს რას ერჩის, ეს სლოგანი ხომ იმას ნიშნავს, რომ სხვებიც თავმჯდომარეს უნდა მიყვნენ ხელყუმბარებით...

დ. აღმაშენებლის პარტია (არა დავით აღმაშენებლის, არამედ სწორედ დ. აღმაშენებლის)... უნდა გაგახსენოთ აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა არჩევნების თემაზე „ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია“. მოქმედება 1918-21 წლებში ხდება.

ვინმე იაკინთე ლაშხი გადაწყვეტს დაარსოს რაიმე პარტია და თავი წამოაყენოს დამფუძნებელი კრების წევრობის კანდიდატად.

და აი, იგი წერილს წერს ძმას სოფელში:

> **„საყვარელო ძმაო თომა! დავაარსე პარტია და თუ ხმები საკმაოდ მივიღე, გავალ ალბათ დამფუძნებელ კრებაში. ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ ჩვენს სოფლელებს აუხსნა ჩემი პარტიის პროგრამა და შენ იცი, თუ იმისთანა აგიტაციას გაწევ, რომ ხმა მარტო ამ პარტიას მისცენ!**
>
> **ჩემს პარტიას სახელად „ვახტანგ გორგასლის პარტია“ ჰქვია. ვახტანგ გორგასალი ხომ გაგიგონია, ქალაქი თბილისი რომ აღმოაჩინა... შენ ალბათ, ჩემო თომა, წარმოდგენილი გექნება, რომ ვახტანგ გორგასლის პარტიას რა ენდომილება. ცხადია, ქვეყნის გასპეტაკება და აშენება. მეზობლებს უთხარი, ასეთ სასურველ, საამაყო პარტიას სათავეში უდგას ჩვენი საამაყო, განათლებული იაკინთე-თქვა და ხმას აბა ვის მისცემთ, თუ არა იმას-თქვა.**
>
> **ერთი სიტყვით, აბა შენ იცი! ჩვენი პარტიის პროგრამა ეს არის: ყველასთვის კარგი გვინდა.**
>
> **...მეზობლებს უთხარი, რა გეგონათ, ბიძია-თქვა, თქვენ იაკინთეს სულელს და დაღუპულს უძახდით და ახლა ხომ ნახეთ-თქვა, იმის ნაშრომი არ დაკარგულა და კვლავაც დააფასეს-თქვა. ასე უთხარი, რაც სამინისტრო ხალხია, სულ იაკინთეს ამხანაგებია თქვა და მასაც ქე პირდებიან მინისტრობას-თქვა“...**

ერთი საუკუნე თითქოს არც გასულა. აბა შეუდარეთ რამდენი იაკინთე პოლიტიკოსი გვყავს და რამდენი იაკინთისტური პარტია გვაქვს. ყველა მათგანი ხალხს უმტკიცებს, რომ მის პარტიას „ქვეყნის გასპეტაკება და აშენება უნდა“.

იაკინთეობა თვითდამკვიდრების ერთ-ერთი ძალზე მოხერხებული ფორმაა. იაკინთეებმა ქვეყანა აავსეს. ისინი ქვეყანას ღლიან ფუთფუთითა და ფართიფურთით.

აი, ნათელი მაგალითი: საქართველოში დღესდღეობით 240 პარტიაა(!!!), ეს რაოდენობაა რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტგაერთიანებების რეესტრში. თუმცა ეს სულაც არ არის ზღვარი. აგერ ხუთი პარტია ვიცი, ჯერ რეესტრში შეტანილი არ არის, მაგრამ უკვე არსებობს და ხმაურობს: მეჭიაურის, ვაშაძის, ბურჭულაძის, კვარაცხელიასი, „გირჩი“...

ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენი კიდევ გამოყოფს თავს!

ახლა ესეც დავიანგარიშოთ. თითოეული პარტიის, სარეგისტრაციო განაცხადს რეესტრის მოთხოვნით, თავ-ფეხიანად უნდა ახლდეს პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომრის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით.

1000 წევრი მაინცო! ანუ 240X1000-240000.

240 ათასი პარტიული, 240 ათასი ტანკის ქვეშ ხელყუმბარებით შესავარდნად მზადმყოფი შალიკო თუ ვალიკო.

თუ ჩენი მოსახლეობისა და პარტიების რაოდენობას ერთმანეთთან შევაფარდებთ, გამოდის, რომ ყოველ მეათეს ხელში ხელყუმბარების შეკვრა უჭირავს, ანუ ამა თუ იმ პარტიის წევრია. ამაზე დიდი ბედნიერება რა შეიძლება იყოს.

იაკინთე, ძმაო!

მოახლოებული ოქტომბრის არჩევნები ახალი მღელვარებისა და მოულოდნელობების წინაშე გვაყენებს.

გამოკვეთილად ორი ჯილა იბრძვის:

ქართული ოცნება – ხელისუფლებაში დასარჩენად,

ნაციონალური მოძრაობა – ხელისუფლებაში დასაბრუნებლად;

> **ქართული ოცნება, რომელიც ოთხი წლის წინათ გრიალით მოვიდა სათავეში და ამ ოთხ წელიწადში დაშვებული იაღლიშების გამო საკმაოდ შეფერთხილია, იმედს არ ჰკარგავს. მას ორი მთავარი შეცდომა – კოჰაბიტაცია – დამარცხებულის ფეხზე წამოყენება და მოღონიერება და საარჩევნოდ სხვა პარტიების მიერთება ძვირი დაუჯდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დაპირებების შეუსრულებლობის გამო რეიტინგი შეერყა, მაინც ხელშესახებად აქვს გამარჯვების რესურსები.**
>
> **ნაციონალური მოძრაობა ახლა იმასაა ჩაბღაუჭებული, რომ 9-წლიანი სისხლიანი მმართველობის დროს დაშვებული „შეცდომებისგან გაწმენდილი“ მიდის არჩევნებზე, და რატომღაც იმის უსაფუძვლო ილუზიას მოუცავს, რომ ოცნების დაკარგული რეიტინგი სწორედ მას შეემატება. იგი ბარიერს ალბათ გადალახავს, მაგრამ ხელისუფლებაში დაბრუნების ფუჭი იმედი („ჩვენ მოვალთ“) ოდენ იმედად დაურჩება. ან რა იმედი უნდა ჰქონდეს დავით ბაქრაძის, გოკა გაბაშვილის, გიგა ბოკერიას საძმოს... მათი შეცდომები ერის ისტორიაში უმწვავეს, მოუნელებელ ჭრილობებად დარჩა და მათ ჩამორეცხვას მთელი მტკვრის 9 წლის დებეტიც არ ეყოფა, იმათი გაკოტრებული ბელადი მიშა სააკაშვილი სულაც უკრაინის პრეზიდენტადაც რომ დანიშნონ.**

იმედიანი ნაბიჯებით მიდის ფინიშამდე პატრიოტთა კავშირი, მაგრამ სწორედ ზედ ფინიშის კვირაძალზე ნერვებმა უმტყუნა და „ოცნების“ ოთხი წლის წინანდელი სიბრიყვე გაიმეორა: პლაჟზე წამოგორებული კაცივით შეიგუნგლა ქვიშით – უცხო და არაფრისმთქმელი ჯუჯა პარტიებით.

პაატა ბურჭულაძემ ბომბი შემოაგდო წინასაარჩევნო პროცესში (ანუ თვით ბადრი შემოაგდეს ბომბად) „ჩვენ გავიმარჯვებთ“, „ჩვენ მოვალთ“ მსუყე ბანით იმეორებს ყველა საჭირო თუ არასაჭირო დროსა და ადგილზე ჩვენი მსოფლიო ბანი და ჯერ ვერ აცნობიერებს, რომ ლაპარაკია არა „ლა სკალას“ სცენაზე, არამედ ქართულ საარჩევნო სივრცეზე.

თავისუფალი დემოკრატები და ბურჯანაძე-დემოკრატები... ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ რა კვებავს მათ ოპტიმიზმს, სწორედ რომ ძნელი სათქმელია. თუმცა იქნებ თითო-ოროლა კაცი მაინც გაძვირონ პარლამენტში, ისევე როგორც „კლდის ნატეხი“ მეჭიაურის ახალშექმნილმა გაერთიანებამ. ვფიქრობ, ამაოდ ირჯებიან რესპუბლიკელები, ლეიბორისტებიც...

დანარჩენი სულ ტყუილად ილესავს კბილებს, რაგინდ ტანკების ქვეშ შესავარდნად გაწიროს თავი.

ასეთია ზოგად შტრიხებში ჩვენი 240 პარტიის და 240 ათასი პარტიელის ძალთა განლაგება.

ეს წერილი მინდა თემურ ქორიძის ახლახან გამოცემული წიგნის „კაცი არ ყველა სწორიას“ ერთი მორგებული შეგონებით დავამთავრო: **„ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ღრმა ანაქრონიზმს წარმოადგენს. სულ მალე ეს გუნდი დაიშლება, სააკაშვილს კი მამაზეციერიც ვერ დააბრუნებს ხელისუფლებაში“.**

კი, დასტურ მასე იქნება!

ალეკო ასლანიშვილი

აი, ნათელი მაგალითი: საქართველოში დღესდღეობით 240 პარტიაა(!!!), ეს რაოდენობაა რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტგაერთიანებების რეესტრში. თუმცა ეს სულაც არ არის ზღვარი. აგერ ხუთი პარტია ვიცი, ჯერ რეესტრში შეტანილი არ არის, მაგრამ უკვე არსებობს და ხმაურობს: მეჭიაურის, ვაშაძის, ბურჭულაძის, კვარაცხელიასი, „გირჩი“...



ვინ ვერ ასწრებს სკამზე დაჯდომას?

ევროკავშირის ორმაგი სტანდარტები საქართველომაც ბევრჯერ იწვნია. ახლა სათითაოდ არ ჩამოვთვლი, რადგანაც ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ ამ ორიოდე კვირის წინათ, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების გადავადებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს შეგახსენებთ. თითქოსდა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები ქართველი კრიმინალების გამო დამუხრუჭდა. არადა სტატისტიკურად გერმანიაში ქართველი კრიმინალების მიერ ჩადენილი დანაშაულები 24-ე ადგილზეა და ეს დანაშაულები ძირითადად წვრილმანი ქურდობით განისაზღვრება.

23 ივნისს დიდ ბრიტანეთში რეფერენდუმი ჩატარდა, რომელზეც ერთი, მაგრამ არა მხოლოდ დიდი ბრიტანეთისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, ფრიად საჭირბოროტო საკითხი იყო გამოტანილი, დარჩება თუ არა გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის წევრად.

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 52-მა პროცენტმა ევროკავშირში დარჩენაზე უარი განაცხადა.

ბუნებრივია, რომ დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ამ გადაწყვეტილებამ არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია, როგორც მთელი მსოფლიოს, ისე დიდი ბრიტანეთის მასშტაბით. შედეგების გამოქვეყნებიდან მალევე ეროვნული ვალუტა და ადგილობრივი კომპანიების აქციები საგრძნობლად გაუფასურდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი საპროტესტო ტალღამ მოიცვა.

BREXIT-ის მთავარი დაპირება ეკონომიკური წინსვლა იყო. კამპანია აგებული იყო უცხოური მუშახელისთვის ბაზრის ჩაკეტვაზე და ევროკავშირისთვის ხაზინაში გადასახადების გადახდის შეწყვეტით ჯანდაცვაში კვირაში 350 მილიონი გირვანქის მობილიზებაზე. BREXIT-ელები დღეს უკვე აღიარებენ, რომ აღნიშნული დაპირებები არარეალურია.

დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების ნაწილი ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლასთან დაკავშირებით განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. პეტიციას ხელი უკვე მოაწერა 3 მილიონ 500 ათასმა ამომრჩეველმა.

განხეთქილებაა ბრიტანეთის მთავარი ოპოზიციური პარტიის რიგებშიც. მინისტრთა ჩრდილოვანი კაბინეტი უკვე დატოვა 11-მა მინისტრმა. გადადგომაზე უარს ამბობს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჯერემი კორბინი.

შოტლანდიის პირველი მინისტრის განცხადებით კი, შოტლანდია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ევროკავშირის შემადგენლობაში დარჩეს. მიზნის მისაღწევად ის არც შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებას გამორიცხავს.

ევროკავშირმა და მსოფლიოს სხვა ლიდერებმა დიდ ბრიტანეთს მოუწოდეს, დაჩქაროს ორგანიზაციიდან გასვლის პროცედურა, BREXIT-ის ინიციატორი ბორის ჯონსონი, რომელიც ქვეყნის ახალ პრემიერად მოიაზრება, არ ჩქარობს.

საკმაოდ საინტერესო რამ მოხდა რეფერენდუმის დროს: პროცენტულად ევროკავშირიდან გასვლას ბრიტანელთა უფროსმა თაობამ (კონსერვატორულმა ასაკმა) მისცა ხმა, ხოლო ახალგაზრდებმა (ლიბერალურმა ასაკმა) დარჩენას დაუჭირეს მხარი.

არადა, ვერ იტყვი, რომ იმ თაობას მოსკოვამდე 37 ფუნტად ნაყიდი ბილეთები ენატრებაო. თანაც ეს ის თაობაა, რომლის დროსაც ევროკავშირი შეიქმნა.

ასევე არის მეორე არანაკლებ საინტერესო ფაქტი: წესით ახალგაზრდები უფრო რადიკალურები უნდა იყვნენ და ასე ვთქვათ პატრიოტიზმს, ეროვნულ თვითმყოფადობას დ.ა.შ. უნდა უჭერდნენ მხარს. აქ კი რატომღაც საპირისპირო მოვლენა მოხდა, რაც ასევე დასაფიქრებელი ფაქტორია.

ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგები ბოლომდე დათვლილიც არ იყო, რომ ფინეთში ახალგაზრდულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „ჭეშმარიტი ფინელები“, ევროკავშირიდან გასვლის მოთხოვნით, რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

მოდით, ვნახოთ ევროპული გაერთიანებების მცირე ისტორია: **ევროპის კავშირი (ინგლისურად – European Union) შემოკლებით *ევროკავშირი* – ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა (ინგლისურად – European Community, ერქვა. მისი წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა – 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-სა და იაპონიას.**

ევროპის ტერიტორიაზე, ევროკავშირის მასშტაბების სადარი ერთიანი სახელმწიფო გაერთიანებები იყო: დასავლეთ რომის იმპერია, ფრანკების სახელმწიფო, საღვთო რომის იმპერია. გასული ათასწლეულის განმავლობაში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ მისი გაერთიანების იდეა მუდამ არსებობდა. ამერიკული რევოლუციის შემდეგ კი გაჩნდა იდეა *ევროპის შეერთებული შტატების* შესახებ, რომელიც ხელახლა გაცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი – ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს გზებისა და საშუალებების ძიება მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის. მათ თანდათან გააცნობიერეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის იდეა და დაადგნენ პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა და უშიშროება იყო.

დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს, გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა. ევროკავშირის ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ჩათრეულნი იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში, და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები.

ეს არის მშრალი ინფორმაცია იმ გაერთიანების შესახებ, რომლისკენაც სწრაფვა საქართველოს პოლიტიკური პლატფორმის ძირითადი განმსაზღვრელია და რომელიც ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს ქვეყნის ეკონომიკური, თუ დემოკრატიული განვითარების ერთადერთ მაშველ რგოლად მიაჩნია.

სოციალურ ქსელ ფეისბუქშიც საკმაოდ მკვეთრი და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოჩნდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ დასავლურ გვერდებზეც კი. შეფასებების გამა ბიოლოგიურ ზიზღამდე დასული უკიდურესობიდან, უკიდურესი ფორმით გამოხატულ სიყვარულამდე იყო გაშლილი. ცენტრალური ნაწილი როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე თანაბარი რაოდენობით იკითხება და მადლობა ღმერთს, უბრალოდ, უმრავლესობას შეადგენს.

მოვიყვან ამონარიდს იტალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტის მოლეკულური ბიოლოგიის ასისტენტ-პროფესორის სოლომონ ნერგაძის მიერ გამოქვეყნებული შეფასებიდან.

„მე არ ვიცი, რამ მიიყვანა ბრიტანელები „არა“-მდე.

მე ვიცი, რიგითი ბრიტანელი რომ ვყოფილიყავი, ხმას რას მივცემდი.

მე ვიტყოდი, „არა ევროპის გაერთიანებას!“

მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან, რატომ მოვიქცეოდი ასე.

ლიტვინენკოს მკვლელობის ამბავი, მრავალთათვის უბრალო აღმოჩნდა. ბრიტანელისთვის არ აღმოჩნდა უბრალო. მისთვის ეს უბრალო მკვლელობა არ იყო. მისთვის ეს იყო რიგითი ბრიტანელის მკვლელობა, სხვა ქვეყნის საიდუმლო სამსახურის მიერ ჩადენილი. ბრიტანეთმა ყველაფერი გააკეთა საქმის გამოსაძიებლად და დამნაშავის აღმოსაჩენად. დაადგინა და აღმოაჩინა. ბრიტანეთის დასკვნები ევროპაში, არავის არ დაუყენებია ეჭვქვეშ. სიტყვით ყველამ დაუჭირა მხარი. ყველამ რაღაცა მოითხოვა.

და, მორჩა. ამას იქით საქმე არ გაუშვეს. ახალმა ჰიტლერმა ყველაფერი გააკეთა, რომ ეს საქმე ნელ-ნელა დავიწყებას მისცემოდა. ბრიტანელს, საერთოდ, არც კარგი და არც ცუდი არ ავიწყდება. თავმოყვარე ერია და იმიტომ (სცადეთ, ვინმემ, ინგლისის კომპარტიის წევრის თანდასწრებით, უწყინრად იხუმროთ, დედოფალზე!... მე ვიხუმრე ერთხელ, და, მერე, მთელი საათი ინგლისურის არცოდნას ვაბრალებდი).

მოხვედი და ჩემი ქვეყნის დედაქალაქში, ჩემი მოქალაქე ასეთი ხერხით მოკალი – ეს ჩემს უშიშროებას კი არა მხოლოდ, ჩემი ქვეყნის თავმოყვარეობას ლახავს. მე, ვალდებული ვარ, გაზღვევინო.

გაზღვევინებ, კიდეც, თუ ვყოფილვარ ქვეყანა!...

ცხადია, ბრიტანეთი თავს მარტო არ გრძნობდა. ევროკავშირი უმაგრებდა მხარს. როგორც აღმოჩნდა, ბრიტანელთა წარმოდგენაში უმაგრებდა მხარს, ოდენ.

სინამდვილეში, გერმანია-საფრანგეთმა გაყიდეს ძმა და მეგობარი. გერმანიამ სურვილიც კი გამოთქვა, რუსეთთან ერთობლივი ეკონომიური სივრცის შექმნისა. იტალიის ახლადარჩეული ენერგიული პრემიერი კი, მოსკოვ-ქალაქს ეახლა. ერთ-ერთი დიდი ფირმა („ენი“) და მისი მოღვაწეობა, უფრო ძვირი აღმოჩნდა, ვიდრე თავმოყვარეობა და სიმართლე.

ბრიტანეთმა დაინახა, რომ გაზი და ნავთობი, გაცილებით ძვირია, ვიდრე გაერთიანებული ევროპის მიერ გაცხადებული ღირებულებები და თავმოყვარეობა. დაინახა და, ძალიან ცუდად იმოქმედა.

დღეს მე, თვით დიდი ბრიტანეთი მივატოვე მარტო. რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ, სხვას, ნაკლები წონის „ბრიტანეთს“ არ მიატოვებ ბედის ანაბარა?!...

მე ასეთ წესებზე არ შევთანხმებულვარ. მე, ერთიანობა მინდოდა. არ გინდათ, სულ კარგად ბრძანდებოდეთ. მე ხმას „არა ევროპის გაერთიანებას!“ მივცემდი.

ახლა, სპეკულაციები იმაზე, რომ ახალგაზრდებმაო ასე ქნეს, შუახნისებმაო ისე, არაფრისმომტანი და, დარწმუნებული ვარ, ნაკლებადმცოდნე ადამიანების ჭიის გახარებას უფრო ჰგავს.

ბრიტანელთა შეგნების დონის სიმცირეზე ნურავინ შეეცდება, აქცენტი გააკეთოს.

52%-ია 48%-ის წინააღმდეგ. ეს ფიქრისა და განსჯის შედეგია. და, არა ურაპატრიოტიზმის, ან გულზეხელისბაგუნა კაცუნების ნამოქმედარი.

მე ერთადერთი მაგალითი მოვიტანე მრავალთაგან, ჩემი თვალსაზრისის გასამყარებლად.“

ბატონი ნერგაძის მოსაზრებები აბსოლუტურად ემთხვევა ჩემს დამოკიდებულებას ევროკავშირის ორმაგ და ამ კავშირის შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ამითომ სრულად მოვიტანე მისი ეს გზავნილი.

ევროკავშირის ორმაგი სტანდარტები საქართველომაც ბევრჯერ იწვნია. ახლა სათითაოდ არ ჩამოვთვლი, რადგანაც ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ ამ ორიოდე კვირის წინათ, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების გადავადებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს შეგახსენებთ. თითქოსდა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები ქართველი კრიმინალების გამო დამუხრუჭდა. არადა სტატისტიკურად გერმანიაში ქართველი კრიმინალების მიერ ჩადენილი დანაშაულები 24-ე ადგილზეა და ეს დანაშაულები ძირითადად წვრილმანი ქურდობით განისაზღვრება.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ევროპაში გაძლიერებული ე.წ. აგრესიული ლიბერალიზმი, რომლის პროპაგანდასაც საქართველოში ყოფილი ხელისუფლება, რესპუბლიკური პარტია და ე.წ. სამოქალაქო სექტორი ახდენდნენ.

ეს არ არის ნამდვილი ევროპა.

ნამდვილმა ევროპამ 23-ში BREXIT (ბრიტანეთი გადის) განაცხადა.

რაც შეეხება ჩემს მიერ ზემოთ გაკეთებულ აქცენტს ასაკობრივი ჯგუფების განსხვავებული არჩევანის შესახებ, საკმაოდ საინტერესო პასუხი გამცა ირინა ჯიბლაძემ:

„თაობა, რომელმაც ხმა მისცა ევროკავშირიდან გამოსვლას ჰიპების და მეამბოხეების თაობაა, რომლებმაც ევროპა ბარიკადებად აქცია 60-იან წლებში. დღეს ისინი კონსერვატორები არიან და ტრადიციულ ფასეულობებს იცავენ. დღევანდელი ახალგაზრდებიც ზუსტად ისევე შეიცვლებიან. რაღაც პერიოდის შემდეგ ზუსტად ისეთივე კონსერვატორები გახდებიან“.

ვეთანხმები ქალბატონ ირინას, მაგრამ დავამატებ, რომ კონსერვატორები გახდებიან ის ადამიანები, ვისაც თავისი სამშობლო გულით უყვარს, ვინც თავისი ქვეყნის პატრიოტია და ეს სიყვარული და პატრიოტიზმი იმ ღირებულებებზე მაღლა დგას, რასაც ე.წ. აგრესიული ლიბერალები გვიქადაგებენ.

რაც შეეხება ევროკავშირის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, შევახსენებთ ერთ თამაშს, რომელიც ჩემს ახალგაზრდობაში სხვადასხვა მხიარულ ღონისძიებებზე იყო გავრცელებული: წრეზე იდგა ვთქვათ 5 სკამი და ექვსი მოთამაშე მუსიკის თანხლებით გარს უვლიდა. უცებ მუსიკა შეწყდებოდა და უნდა მოგესწრო დაჯდომა. ვინც ვერ მოასწრებდა, თამაშიდან გადიოდა. შემდეგ ტურში ცხადია ერთ გავარდნილ მოთამაშესთან ერთად, ერთი სკამი აკლდებოდა. ბოლოს რჩებოდა ორი მოთამაშე და ერთი სკამი.

ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში, ჩვენი მდგომარეობა იმ მოთამაშეს ჰგავს, სკამზე დაჯდომას ვერასდროს რომ ვერ ასწრებს!

რაც მთავარია, არ გვაქვს ყველაზე მნიშვნელოვანი: არ გვაქვს ბრიტანული თავმოყვარეობა!!!

წერილს ზურიკელა ვაშალომიძის სიტყვების მცირე რემიქსით დავამთავრებ:

ბრიტანეთი გავიდა ევროკავშირიდან, მერე საფრანგეთი გავა, მერე დანია, მერე სომხეთი გავა ევრაზიული კავშირიდან, მერე რუსეთი, მერე ჩვენ დავრჩებით, მთელი ევროკავშირი და ევრაზიული კავშირიც ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ნატო, თალიბანი, სირია და აღარ დავილევით და აღარ გავთავდებით...

გია გაბრიჭიძე.

P. S. გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ოფიციალურმა სპიკერმა, პრინცმა უილიამმა განაცხადა, რომ თუ ბრიტანეთის პარლამენტი მიიღებს კანონს ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის შესახებ, მაშინ დედოფალი ისარგებლებს თავისი უფლებით და არ მოაწერს ხელს კანონს, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ ინტერესებს.

შეგახსენებთ რომ, უინძორებს სამეფო ვეტოს უფლება ბოლო 400 წელია, არ გამოუყენებიათ.

◎ ვუბრუნდებით დაბეჭდილს

სხვა გამოსავალი არც ხელისუფლებას და არც ადამიანებს უკვე აღარ გვაქვს

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველთვის წერდა სამართლიანობის აღდგენის პრობლემებზე, რედაქციაში დღესაც ბევრი წერილი შემოდის ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ადამიანები ითხოვენ წართმეული ქონების დაბრუნებას, შელახული პატივისა და ღირსების აღდგენას.

საქართველოს პარლამენტმა, როგორც იქნა, „მოიცალა“ და თავის ბოლო საგაზაფხულო სესიებზე ეს მნიშვნელოვანი პრობლემაც განიხილა. ახლა ჯერი პრეზიდენტზეა, რომელიც, იმედია, ამ კანონს ვეტოს არ დაადებს, ვინაიდან ისიც, თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში ხაზს სამართლიანობის აღდგენის აუცილებლიბას უთმობდა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, ვესაუბრეთ აკად. ნაპოლეონ ძარძაშაძეს, რომელიც თავად იყო სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი.

— ამა წლის 26 იანვარს პრემიერისთვის გაგზავნილ თქვენს მიმართვას „გამოიყენეთ თქვენი უფლება ქონების პირდაპირი მიყიდვის სესახებ“ ბევრი მოქალაქე გამოეხმაურა. მაინტერესებს, დაგვიანებული ხომ არაა პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, ხომ არ გაიწელება დროში მისი აღსრულება და არიან თუ არა შესაბამისი უწყებები მზად ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად?

— მადლობას გიხდით თქვენ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, რომელიც ყოველთვის დროულად რეაგირებს ყველა საჭირბოროტო საკითხზე. მეამაყება, რომ თქვენთან ვთანამშრომლობ.

რაც შეეხება პარლამენტეს მიერ მიღებულ კანონს, ცხადია, ჯობდა მისი ადრე მიღება. სამწუხაროდ, ოთხი წლის ლოდინმა საზოგადოების დიდი ნაწილი ნიჰილიზმში ჩააგდო, განაწყენებულ ადამიანებზე კი ნაცები „ნადირობენ“ და წარმატებითაც. კანონმა ჯერ კიდევ უნდა გაიაროს საპრეზიდენტო პროცედურები, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს და შემდეგ გაფორმდება იგი კანონის სახით. გამომდინარე აქედან, პროკურატურას რჩება მცირე დრო და მას მოუწევს ძალიან დიდი ძალისხმევა, რათა დროულად გამოიძიონ საქმეები. საკითხის გადაწყვეტას ისიც გააჭიანურებს, რომ სასამართლო წესით ჩამორთმეული ქონება, პროკურატურის გამოძიების შემდეგ, ისევ სასამართლომ უნდა განიხილოს, რაც კიდევ უფრო გააჭიანურებს პროცესს. გარდა ამისა, პროკურატურა და სასამართლო კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდიან, ესეც ხელისშემშლელი ფაქტორია.

— როგორც ჩანს, დაზარალებულებს სანერვიულო კიდევ ბევრი აქვთ. საინტერესოა, მოჰყვება თუ არა რეაგირება პრემიერისთვის გაგზავნილ თქვენს მიმართვას?!.

— რეაგირება სერიოზული იყო, რამდენჯერმე შევხვდი ეკონომიკის სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელებს, ისინიც შეწუხებულები არიან ამ პრობლემით, მაგრამ მათ არა აქვთ სამართლებრივი მექანიზმი, რათა თავად გადაწყვიტონ ეს საკითხები. სააკაშვილის მონა პარლამენტმა ყველაფერი გააკეთა, რათა მათ მიერ ჩადენილი დანაშაული არ გამჟღავნებულიყო. ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელების დახმარებით შევხვდი ეკონომიკის მინისტრს, დღევანდელ პირველ ვიცე-პრემიერს, ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილს.

— სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში მთავრობის წევრებთან და, საერთოდ, ხელისუფლებასთან მოქალაქეების შეხვედრა პრობლემურია, საინტერესოა თქვენი შთაბეჭდილება, როგორები არიან ისინი?!

— ბატონმა პირველმა ვიცე-პრემიერმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, იგი პრობლემებში კარგადაა გარკვეული, ჩვენ ეკონომიკაზეც ვისაუბრეთ და მივხვდი, რომ მას ამ მიმართულებით აქვს სწორი ხედვა. რაც შეეხებოდა ჩემს თხოვნას!.. მისივე რეკომენდაციით მოვხვდი საქართველოს მთავარ პროკურორთან, ბატონ ირაკლი შოთაძესთან.

— პროკურატურაც შეუვალი დაწესებულების შთაბეჭდილებას ტოვებს? თქვენ რა აზრი გამოიტანეთ?

— მოსახლეობისა და ხელისუფლების „გაუცხოება“ წინა ხელისუფლებიდან დაინყო. სამწუხაროდ, მოიშალა ის მექანიზმი, რომელიც მოქალაქეების მიღებას უზრუნველყოფდა. დღეს პროკურატურაში მოქალაქეების მიღება ჩვეულებრივი ამბავია, ამის დასტური ისიცაა, რომ საშვთა ბიუროში ხალხმრავლობაა.

მთავარ პროკურორთან საუბრის დროს მივხვდი, რომ იგი არაა შემთხვევითი კაცი, კარგად იცნობს სამართლიანობის აღდგენის პრობლემებს და მოწადინებულია, ოპერატიულად გადაწყვიტოს ისინი. თუმცა სააკაშვილის ძალისხმევით დღევანდელ პროკურატურაშიც პრობლემებია. არც მათთან არის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც საჭიროა დაგროვებული პრობლემების მყისიერი გადაწყვეტისათვის. მე ურთიერთობა მაქვს ახლადშექმნილ დეპარტამენტთან, რომელიც იკვლევს სამოხელეო დანაშაულებს, ჩემი აზრით, ეს დეპარტამენტი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროკურორ-გამომძიებლებით, თუმცა მათი მოქმედების არეალი, როგორც ითქვა, ძალიან შეზღუდულია, რაც მათ აქტიურობას მნიშვნელოვნად აფერხებს.

— როგორც ვხედავ, იმედიანად ხართ და ეს კარგია, ჩვენც დავაკვირდებით მოვლენების განვითარებას და, ალბათ, ამ საკითხებს კიდევ არაერთხელ დავუბრუნდებით.

— ვფიქრობ, მოვლენები სწორი მიმართულებით განვითარდება, სხვა გამოსავალი არც ხელისუფლებას და არც ადამიანებს უკვე აღარ გვაქვს.

ესაუბრა
გიგი აბაშიძე

◎ თავგასულ სეპარატისტთა „ულტიმატუმი“

თუ ჩვენებურის დასჯას ითხოვთ, მაშინ თქვენებიც დასაჯეთო

სოხუმი ქანჯი-ოღლის დასჯის მოთხოვნის საპასუხოდ „1999-2012 წლებში აფხაზი ოფიციალური პირების მკვლელთა“ დასჯას მოითხოვს

ჟენევის დისკუსიების XXXVI რაუნდის მსვლელობისას ქართული მხარის წარმომადგენლებმა აფხაზებს 19 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, ე.წ. საზღვრის სიახლოვეს საქართველოს მოქალაქის, 31 წლის გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმის „გარკვეული მასალები“ გადასცეს, თუმცა მათი „მიწოდების მანერა ნაწილობრივ — საინფორმაციო, ნაწილობრივ კი პროპაგანდისტული იყო“. ამის შესახებ ჟურნალისტებს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ განუცხადა.

„გადმოგვცეს ბროშურები ფოტოებით, რომლებზეც მოკლული შვილებთან ერთად არის გამოსახული. საპასუხოდ განვაცხადეთ: მოდით, გავმიჯნოთ ინციდენტის განხილვა პროპაგანდისგან, ხოლო თუ პროპაგანდით გინდათ, დაკავდეთ, ჩვენ ამაში მონაწილეობას არ ვაპირებთ“, — აღნიშნა ჩირიკბამ.

დე ფაქტო მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში 6 ივლისისთვის გალში დაგეგმილ შეხვედრაზე **„მოხდება იმ მასალების გაცვლა, რომელიც გამოძიებას უნდა დაეხმაროს“.**

ამასთან, ჩირიკბამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მომხდარი ამ ტიპის ერთეული შემთხვევაა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში და რომ ამ პერიოდში ადამიანთა გატაცებებიც შემცირდა.

მისივე თქმით, საკითხის განხილვამდე აფხაზურმა დელეგაციამ დისკუსიების მონაწილეებს „1999-2012 წლებში საქართველოს სპეცსამსახურების მიერ მოკლული აფხაზეთის 25 ოფიციალური პირის“ სია დაურიგა.

„ჩვენ ვიკითხეთ, აღიძრა თუ არა სისხლის სამართლის საქმეები ამ მკვლელობებიდან რომელიმეზე. პასუხი სამარისებური დუმილი იყო. მომდევნო რაუნდისთვის ვამზადებთ დოსიეებს 1999 წლიდან გალის რაიონში ჩვენი მოქალაქეების მკვლელობის თითოეულ ფაქტზე, დავარიგებთ მათ დისკუსიების მონაწილე დელეგაციებში, ასევე გადავაგზავნით ევროსტრუქტურებში, საელჩოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამ დანაშაულებს ვადა არა აქვს და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, რა რანგის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებში“, — განაცხადა დე ფაქტო მინისტრმა.

◎ ლაგოდეხის დღევანდელობა და პერსპექტივები

უნიკალური ნაკრძალი ინვესტორს ელოდება

დაცული ტერიტორიების სააგენტო 15-წლიანი იჯარით ლაგოდეხის ნაკრძალში მდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის გასხვისებას აპირებს. ორი აუქციონი უკვე შედგა, თუმცა გამარჯვებული ჯერ არ ჰყავს. ახლა მესამე აუქციონის გამოცხადება იგეგმება. გამარჯვებული ვალდებული იქნება, 60 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელოს და სასტუმრო და კაფეტერია აამუშაოს.

როგორც ლაგოდეხის ნაკრძალის ადმინისტრაციაში განაცხადეს, აღკვეთილის ტერიტორიაზე მდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურა კაფეტერიას და სასტუმროს ნომრებს მოიცავს. ამ ობიექტს 2012 წლამდე თავად დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავდა და ამუშავებდა, თუმცა, როგორც ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორმა გიორგი სულამანიძემ განაცხადა, ბიუროკრატიული პროცედურების გამო, სააგენტოს სასტუმროს მართვა გაუჭირდა:

„ვერ არის ეფექტური ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც ცენტრალიზებულად იმართება. ჯობია, რომ კერძო ინვესტორს ჰქონდეს იჯარით, რადგან ის მოქნილია და ძალიან სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს. შეუძლია, მრავალფეროვანი სერვისები შესთავაზოს ტურისტებს. აუდიტისა და მოკვლევის შედეგად გადავწყვიტეთ, რომ ინფრასტრუქტურა 15-წლიანი იჯარით გაგვეტანა აუქციონზე“.

როგორც გიორგი სულამანიძე ამბობს:

„პირველი აუქციონი შედგა, მაგრამ ინვესტორმა ბოლო მომენტში თქვა უარი, რადგან საინვესტიციო პერიოდი მოკლე დროზე იყო გათვლილი. მეორე აუქციონში მონაწილეობა არავის არ მიუღია. ახლა გადავწყვიტეთ, რომ მიზეზები დეტალურად შევისწავლოთ და შემდეგი აუქციონი ასე გამოვაცხადოთ. ვფიქრობთ, რომ მესამე აუქციონზე ოპტიმალური პირობები იქნება“.

მანამდე, ვიდრე ლაგოდეხის ნაკრძალში სასტუმრო და კაფეტერია დაიწყებს მუშაობას ამ ქალაქისა და ნაკრძალის სტუმრებს, სურვილის შემთხვევაში, ძირითადად საოჯახო სასტუმროებში მოუწევთ გაჩერება. სამოგზაურო მარშრუტი ლაგოდეხის ნაკრძალში ძირითადად მაისიდან იწყება და ნოემბრამდე გრძელდება. ამ დროს სეზონისთვის დამახასიათებელი მზიანი ამინდები კარვებში ღამის თევისა და ცხენებით გასეირნების საშუალებასაც იძლევა. ტურების დროს, სხვა სანახაობებთან ერთად, ვიზიტიორებს საშუალება აქვთ, ნახონ ისეთი გარეული ნადირი, რომელიც მხოლოდ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ბინადრობს. ლაგოდეხის ნაკრძალი თავისი უნიკალურობითა და ხელშეუხებელი ბუნებით სამოგზაურო-სათავგადასავლო, ეკო-კულტურული ტურიზმის მოყვარული უცხოელი და ადგილობრივი ტურისტებისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ჩვენ ადგილობრივებსაც ვესაუბრეთ და ვკითხეთ, როგორ აფასებენ კახეთში ტურისტულ სეზონს და ინფრასტრუქტურას:

„ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ გასართობი ცენტრები ან რაიმე მსგავი გაკეთდება“;

„ბავშვებს გასართობი არა აქვთ და ქუჩაში დადიან“;

„ამბობენ, ლაგოდეხი ტურისტული რაიონიაო, მაგრამ აქ პატარებისთვის ერთი ატრაქციონიც არ არის“.

ლაგოდეხში ტურიზმი მეტ-ნაკლებად განვითარებულია, თუმცა მოსახლეობის ნაწილი გვეუბნება, რომ არ არის მუდმივად ფუნქციონირებადი კინოთეატრი, ასევე ღამის კლუბი და საცურაო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. მოუწესრიგებელია სხვა ინფრასტრუქტურაც. ერთი, რაც მრავლად არის, ეს საოჯახო სასტუმროებია, თუმცა ყველა — თითქმის ერთნაირი. ქალაქში შეინიშნება კვების ობიექტების ნაკლებლობაც. არც კაფე-ბარი მუშაობს.



გიორგი ალადაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

ანა ჭეიშვილი და ფრანგი მოგზაურები წარსულში გვამოგზაურებენ



გიმოგზაურიათ წარსულში, თანაც ღვინის ჭიქით ხელში და ყურძნის კრეფით კედლებზე?

კედლები ორ ქვეყანას აკავშირებს — საქართველოსა და საფრანგეთს.

ეს კედლები ღვინის ეროვნული სააგენტოს კედლებია. 17 ივნისს აქ გაიხსნა გამოფენა „XIX საუკუნის ფრანგულ ფოტოებში ასახული ღვინის კულტურა“.

ამ გამოფენის ორგანიზატორი და კურატორი ანა ჭეიშვილი გამოფენის ქართველ დამთვალიერებლებს ფრანგი ფოტოგრაფების კვალდაკვალ დაგვატარებს მრავალი წლის წინანდელ რთველში და არა მარტო გვათვალიერებინებს იმას, რაც ასე ძალიან გვიყვარს, არამედ ამ ყველაფრის თანამონაწილედ გვხდის.

ანა ჭეიშვილი დიდი ხნის წინათ წავიდა საფრანგეთში სასწავლებლად და მას მერე იქ ცხოვრობს და მუშაობს მეუღლესთან ერთად.

მუშაობს კავკასიურ მასალებზე, რომლებიც დაცულია პარიზის მუზეუმებსა და არქივებში. იმ დღეს კი ღვინის ეროვნულ სააგენტოში ღვინისა და მეღვინეობის თემატიკაზე შექმნილი ფრანგული ფოტოებით გაგვიმასპინძლდა.

— ქართული ღვინისა და ქართული მეღვინეობის ამსახველი ფრანგული ფოტოების გამოფენის მოწყობის იდეა მთელი ორი წელია, მიტრიალებდა თავში, — ამბობს ანა, — მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი ღვინის ეროვნულის სააგენტოს მხარდაჭერით.

უცხოელი მოგზაურები ძალიან ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში და ხშირად აღწერდნენ აქაურობას თავიანთ წიგნებში. არაფერია საკვირველი იმაში, რომ ფრანგი მოგზაურები, მით უმეტეს — ფოტოაპარატებით შეიარაღებული ფრანგი მოგზაურები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ღვინით დაინტერესებულიყვნენ. საფრანგეთი ხომ ღვინის დიდი კულტურის ქვეყანაა და ეს ინტერესი ბუნებრივიც არის და ლოგიკურიც.

რამდენიმე წლის წინათ, 2008-ში ანას ბარონ დე ბაის ფოტოების გამოფენის მოწყობა უნდოდა, მაგრამ მაშინ, სამწუხაროდ, მისი ეს პროექტი ვერ განხორციელდა. ერთადერთი რაც მაშინ მოხერხდა, ის იყო,რომ ანამ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოხსენება წაიკითხა მის მიერ გამოვლენილი ფოტოების შესახებ. ეს ფოტოები ახლა ღვინის ეროვნულ ცენტრშია გამოფენილი.

რაკი ღვინო მეც ძალიან მიყვარს და ჩემს „მუდმივი ლექტორს“ პაატა ნაცვლიშვილსაც, გადავწყვიტეთ, ერთად გვემოგზაურა ფოტოებად ქცეულ ვაზისა და ღვინის წარსულში.

ფოტოების კვალდაკვალ წარსულში მოგზაურობისას ჩემი პირველი რთველი გამახსენდა, როცა გაფართოებული თვალებით ვუყურებდი ზვრებში მოფუსფუსე ადამიანებს. მახსოვს, როგორ ფრთხილად კრეფდნენ ის ადამიანები ყურძენს, თითქოს ეშინოდათ, მტევანს არაფერი ტკენოდა. ისიც მახსოვს, როგორ მასწავლეს მტევნის მოჭრა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაკვირვებდა, ვედრებსა და გოდრებში სათუთად ჩალაგებულ მტევნებს როგორ უდიერად ყრიდნენ დიდ, ძალიან დიდ მანქანაში. ბავშურად ვფიქრობდი, ყურძნის ნაზ მტევნებს იმ ვეება და შეუხედავ მანქანაში რა უნდათ-მეთქი.

რა უნდოდათ და კარგი ღვინო უნდოდათ! თანაც ისე ძალიან უნდოდათ, რომ უცხოელ სტუმრებს თავიანთი ფოტოაპარატები ააჩხაკუნებინეს და კალამ-ფურცელიც მოამარჯვებინეს.

გამოფენაზე წარმოდგენილი თითოეული ფოტო ერთ საინტერესო ამბავს გვიამბობს. მე გაფაციცებული ვაკვირდებოდი, როგორ ფუსფუსებდნენ ადამიანები, როგორ ავსებდნენ ყურძნით გოდრებს. მერე თითქოს მეც მათთან ერთად ვიდექი ზვარში და თითქოს მეც მიმიზნებდნენ თავიანთ ფოტოობიექტივებს ჟოზეფ დე ბაი და ჰუგო კრაფტი. ფოტოზე აღბეჭდილი ხალხიც თითქოს გრძნობდა ფოტოაპარატის მზერას და თითოეულს საგანგებოდ ისტორიაში შესასვლელი პოზა მიეღო. მეც — მათ შორის!

გამოფენის გახსნის დღეს ანა ჭეიშვილი ძალიან დაკავებული იყო. ჟურნალისტები, სტუმრები, მინისტრი, ისევ სტუმრები...

მაგრამ ამავე დროს იგი ძალიან ბედნიერი და ამაყი გახლდათ. მან შეძლო და სამშობლოში ჩამოიტანა უძვირფასესი ფოტომასალა, რომელიც მანამდე სრულიად უცნობი იყო საქართველოში.

— გამოფენაზე წარმოდგენილ ფოტოებში ასახულია ყველაფერი, რაც ვაზის კულტურასთან, რთველთან, ღვინოსთან არის დაკავშირებული, — ამბობს გამოფენის ორგანიზატორი, — აქ არის საღვინე ჭურჭელი, სახალხო დღესასწაულები, რიტუალები, სადაც ღვინოს განსაკუთრებული ადგილი უკავია...

ვფიქრობ, ის ემოცია, რომელიც ანას ამ ფოტოების პირველი ნახვისას გაუჩნდა, თბილისშიც ჩამოჰყვა და საგამოფენო დარბაზის კედლები სხვაგვარი შუქით გაანათა.

სხვაგვარი შუქის მომგვრელი ემოცია კი ანა ჭეიშვილს მაშინ გაუჩნდა, როცა პარიზში, ბრანლის სანაპიროზე მდებარე მუზეუმში პირველად აჩვენეს ეს ფოტოები.

— ფოტოები სულ ახალი შეძენილი ჰქონდა მუზეუმს. 14 ალბომი იყო და არ იცოდნენ ზუსტად, სად, რომელ ქვეყანაში იყო ის ფოტოები გადაღებული. სავარაუდოდ, თქვენი მხარე უნდა იყოსო, — მითხრეს.

სავარაუდოდ თქვენი მხარე უნდა იყოსო, რომ გაიგონა, მაშინვე მიზანმიმართულად დაიწყო ამ მასალზე მუშაობა. მერე ანალოგიურ ფოტოებს კერძო კოლექციონერებთანაც მიაკვლია. გამიმართლა, რომ მათაც გამიღეს თავიანთი არქივებიო, — ამბობს.

გაუმართლა მასაც და ჩვენც და, რა თქმა უნდა, ფრანგებსაც.

გაუმართლათ, რადგან პარიზიდან გაუსვლელად მოგზაურობენ კახეთსა თუ გურიაში, სამეგრელოსა თუ იმერეთში.

გაუმართლათ ფოტოების ავტორებსაც და მათ დამთვალიერებლებსაც.

„გურიაში ვაზი მცენარეთა დედოფალია, ღვინისგან კი აქაურები ნამდვილ კულტს ქმნიან. ღვინის სახლის წინ უზარმაზარი მწვანე ხეების ძირში ჩაფლულ თიხის ჭურჭელში ინახავენ. აქ ყოველთვის სასიამოვნო ჩრდილია და ოჯახი სადილისთვის აქ იკრიბება, თავმოხდილი ქვევრიდან ყველა თავისი სურვილებისამებრ იღებს ღვინოს, ისე, რომ ადგილიდანაც არ იძვრის“, — წერს თავის დღიურში ჟოზეფ დე ბაი.

ჟოზეფ დე ბაი ერთ-ერთი პირველი მოგზაური-ფოტოგრაფია, ვინც ჩვენი ღვინის ისტორია გაიტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჟოზეფ დე ბაი XIX საუკუნეში დამოგზაურობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და ღვინის სიყვარულით შეპყრობილი იღებდა ყველაფერს, რაც ვაზს, ღვინოსა და მის ტრადიციებს უკავშირდებოდა. აქ კიდევ ერთხელ გაგვიმართლა: მოგზაური საქართველოში სწორედ შემოდგომაზე მოხვდა.

„ჩვენი მოგზაურობა რთველს დაემთხვა. შეიძლება ითქვას, რომ გურიაში რთველი ნახევრად საჰაერო. მაღალი და დატოტვილი ხის ძირში დარგული, თავის ნებაზე მიშვებული ვაზი გაბედულად მიცოცავს ზევით და ხის ფოთლებში ეხვევა. სწორედ ამიტომ ყურძნის მოსაკრეფად ხის კენწეროზეა ასვლა საჭირო. ამ სამუშაოს შესასრულებლად ხეზე ცილინდრის ფორმის კალათა ააქვთ და ტოტზე ხის დიდი კაუჭით ჰკიდებენ. რაც უფრო მეტი მტევანია ზემოთ, მით უფრო სქელია ვაზის ძირი. არაფერია იმაზე თვალწარმტაცი სანახაობა, ვიდრე ვაზის გიგანტური ხვეულები საუკუნოვანი ხეების გარშემო, მათი გადასვლა ერთი ხიდან მეორეზე და ჩამოკიდებული მტევნების უთვალავი და მოხდენილი გირლანდა“.

ჰიგო კრაფტი კი მეორე მოგზაური-ფოტოგრაფია, ვისი ფოტოებიც ანა ჭეიშვილმა საქართველოში ჩამოიტანა. საინტერესოა ამ ფოტოების აღმოჩენის ამბავი:

— ვიცოდი, რომ ჰუგო კრაფტი ბარონ დე ბაისთან მეგობრობდა და სავარაუდოდ საქართველოშიც იყო ნამყოფი. და შარშან მივაკვლიეთ მის ფოტოარქივს და ახლა ვცდილობთ, პროექტის ფარგლებში ორივე დიდი კოლექცია გამოქვეყნდეს.

ამ ორი მოგზაურის ფოტოები დღეს ფრანგების მიერ დანახული ქართული ღვინის სიყვარულზე გვიყვება. და იმ ქართველებზე გვიამბობს, ვინც XIX საუკუნეში ღვინის კულტურას აგრძელებდნენ და ავითარებდნენ — ქმნიდნენ უძვირფასეს ღვინოს, რომელიც თავისთავში ქართულ ისტორიასა და ტრადიციებს მოიაზრებს.

თითქოს რამდენადმე უჩვეულოა ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებულ ექსპოზიციაში, მაგრამ ფრანგ ფოტოგრაფებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თბილისის აზიური უბანი და მისი განუმეორებელი ხიბლი.

„მეიდანი — ტფილისის აზიური უბანი. ქუჩებს ორივე მხარეს აღმოსავლური მაღაზიები მიუყვება, რომლებშიც ვერცხლეული, ხალიჩები, აბრეშუმეული, ბეწვეული, იარაღი და მუსიკალური საკრავებია გამოფენილი. ეს ნამდვილი ბაზრებია, სადაც ქართველები, სომხები, ოსები, ლეკები, ქურთები და თათრები ირევიან“.

ამ გამოფენის ერთგვარი პრელუდია 28 აპრილს შედგა პარიზში, ქართული ღვინოების დეგუსტაციაზე, რომელიც უკვე მესამე წელიწადია, იმართება. წლევანდელი დეგუსტაციის პარალელურად ერთდღიანი გამოფენა გაიმართა, და იქ წარმოდგენილი ფოტოები ახლა ჩვენთან ჩამოვიდა. ხელშეკრულების საფუძველზე მთელი ფოტომასალა გამოფენის დასრულებისთანავე უკან გაიგზავნება. ყველაფერი ღვინის ეროვნული სააგენტოსა და პარიზში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით განხორციელდა.

უგემრიელესი სხვადასხვა შეფერილობის ღვინო, კადრები რთველზე, გაბრწყინებული ანა, კმაყოფილი მინისტრი, წრიულად ჩამოკიდული სურათები ზუსტად ის იყო, რაც უნდა მენახა, შემდეგ მეფიქრა, ახლა დამეწერა.

თქვენთვის, მკითხველო, კი აღმეძრა სურვილი იმისა, რომ მოასწროთ და 8 ივლისამდე, გამოფენის დახურვამდე განიცადოთ იგივე, რაც იქ მისულმა თითოეულმა დამთვალიერებელმა ვიგრძენით. ეს ფოტოების ჩარჩოებში მოქცეული ჩვენი ისტორიაა, რომელიც ჩვენთან არ რჩება; ისტორია, რომელიც კვლავ საფრანგეთში უნდა დაბრუნდეს; რომელიც მხოლოდ ჩვენს მეხსიერებაში შეინახება მანამ, სანამ არ მოგვეცემა შანსი, კიდევ ერთხელ ვიხილოთ ეს ყველაფერი — და ვინ იცის, როდის იქნება ეს „კიდევ“?

გვანცა სამხარაძე

ქართველი სამხედროები უელსში

უელსში, სენიბრიჯის სასწავლო ცენტრის ბაზაზე საბრძოლო სროლებით საველე ტაქტიკური სწავლება გაიმართა. ბრიტანელ და კანადელ სამხედროებთან ერთად წვრთნაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის IV მექანიზებული ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის „ალფა“ ასეულის ათეულმა მიიღო მონაწილეობა. „ალფა“ ასეული ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NRF) წევრიც არის.

ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა ბრიტანელ პარტნიორებთან ერთად ინდივიდუალური და კოლექტიური მომზადება გაიარეს და უელსის 160-ე ბრიგადის მე-6 ქვეითი ბატალიონის შემადგენლობაში ჩატარებულ ქვეითი ათეულის, ოცეულისა და ასეულის შეტევით და თავდაცვით ოპერაციებშიც ჩაერთნენ. სწავლების განმავლობაში სხვადასხვა სახის ფიზიკური აქტივობებიც ჩატარდა.

სწავლება უელსის 160-ე ბრიგადის მე-6 ქვეითმა ბატალიონის ორგანიზებით ჩატარდა. წვრთნის მიმდინარეობას ბრიტანელ სამხედრო მაღალჩინოსნებთან ერთად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსი ოფიცრები, ვიცეპოლკოვნიკი ვახტანგ ქარცივაძე და მაიორი გიორგი მაისაშვილი აკვირდებოდნენ. მათ წვრთნაში მონაწილე ქართველი სამხედროები მაღალ დონეზე შეაფასეს.

უცნობი გენერალისიმუსი...

ირაკლი თოიძე, „ი. ჯუღაშვილი ლექსს უკითხავს ილია ჭავჭავაძეს „ივერიის“ რედაქციაში“

ყველასთვის უცნობი, დაუპატიჟებელი ნათესავი

— ვასილს თუ იცნობდით?

— რა თქმა უნდა, თუმცა ურთიერთობა მასთან ნაკლებად მქონდა, ვინაიდან ჩვენზე გაცილებით უმცროსი იყო. ისე კი, ხშირად მოდიოდა ჩვენთან კუნცევოში, დავსხდებოდით და ვსაუბრობდით დიდხანს. ეს ის სახლი იყო, სადაც მამა ცხოვრობდა და სადაც სტალინი ხშირად მოდიოდა.

— ესე იგი, სტალინის ყველა ნათესავს კარგად იცნობდით?

— რაც შეეხება ნათესავებს, აი, რას გეტყვით. სტალინს მხოლოდ ერთი ახლო ნათესავი ჰყავდა — გველესიანი — ღვინის ქარხნის დირექტორი. ის კაცი კოლობოვოს შესახვევში ცხოვრობდა. ცოლი რომ მოუკვდა, ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველანი ვიყავით გასვენებაში, დაკრძალვის შემდეგ ქელეხშიც წავედით იმათ სახლში. ცამეტნი ან თოთხმეტნი ვიყავით, ზუსტად არ მახსოვს, ვისხედით მაგიდასთან და ვიხსენებდით მიცვალებულს. ცხადია, ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, გარდა ერთისა, რომელიც არავინ იცოდა, ვინ იყო. თითქმის ბოლომდე იჯდა სუფრასთან ჩვენთან ერთად, ხოლო როცა წავიდა, დავინტერესდით, ვინ დაპატიჟა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც არავის დაუპატიჟებია და არც არავინ იცნობდა. ვერ მივხვდით, როგორ მოხვდა ეს უცხო ადამიანი აქ და რატომ იჯდა აქ ასე ბოლომდე.

მამა

— ორი ბიძა მყავდა: მამაჩემის ძმა — ძია ვასო, ჯერ ლიტერატურას ასწავლიდა სკოლაში, მერე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილედ დაიწყო მუშაობა — მაშინ საქართველოში „კომუნისტი“ ჩვენი ცენტრალური გაზეთი იყო... მეორე ბიძა — დედაჩემის დის ქმარი, ლიტერატურათმცოდნე გახლდათ, ეს ის ლიტერატორია, ვინც პირველმა თარგმნა ლენინის ნაწარმოებები ქართულად... ვასო ხშირად ჩამოდიოდა უმაღლესი საბჭოს სესიებზე და სტალინი მას ღებულობდა. მერე ისინი მამასთანაც მოდიოდნენ. სტალინი რომ გარდაიცვალა, ზუსტად ორ-სამ დღეში ბიძაჩემი დააპატიმრეს, თუმცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სანქციის გარეშე მისი დაპატიმრების უფლება არ ჰქონდათ. გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, იყო აგრეთვე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი. თავმჯდომარე მაშინ მახარაძე იყო, ხოლო მდივანი ბიძაჩემი.

— მე თქვნ ილია ჭავჭავაძის შესახებ გელაპარაკებოდით, — მითხრა გიორგი ალექსანდრეს ძემ, — უფლებებში მისი აღდგენის თაობაზე.

— ეს მაშინ, როცა მან სტალინს უთხრა, ილია ჭავჭავაძეს საქართველოში აღარ ბეჭდავენო?

— დიახ, სწორედ მან უთხრა, რომ ილია დაივიწყეს საქართველოში. მაშინ სტალინმა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჰკითხა: „რა ხდება, რატომ არ ბეჭდავენ ჭავჭავაძეს?“ მგონი, 1936 წელი იყო... ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ ჟურნალის რედაქტორი გახლდათ, სადაც სტალინის პირველი ლექსი დაიბეჭდა.

— სტალინი მას პირადად იცნობდა?

— დიახ. მე მისი წიგნიც მქონდა, რომელსაც ბიძაჩემთან ერთად განვიხილავდი ხოლმე. მე მას ის წიგნი სიკვდილის წინ ვათხოვე... ჩვენთან, საქართველოში, იყო ერთი — საქართველოს სახალხო არტისტი, მგონი საბჭოთა კავშირისაც — აკაკი ვასაძე.

სტალინზე მას მოგონებები აქვს, სადაც წერს, სტალინთან რომ ვიყავი, მან იქ რომელიღაცას ჰკითხა — როგორ ფიქრობთ, ვინ უფრო ნიჭიერია, მე თუ ილია ჭავჭავაძეო? რა თქმა უნდა, თქვენო, — უპასუხა იმ კაცმა, რაზეც სტალინმა ასე უთხრა: „იცით ჭავჭავაძეს, ხელი არ მოემართა, ცხოვრება არ აეწყო, მაშინ სხვა მასშტაბები იყო, ეს რომ არა, უდიდესი ადამიანი იქნებოდა“... ამ მოგონებების შესახებ მთელმა საქართველომ იცის. ის ტექსტი ჩემს ბიძაშვილს აქვს, საბეჭდ მანქანაზეა დაბეჭდილი... სტალინის პასუხიდან აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძეს ძალიან აფასებდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ის ძალიან დიდი პიროვნება იყო, მაგრამ მასშტაბები არ ჰყოფნიდა. იმ მოგონებებში მამაჩემიც არის ნახსენები. იქ ერთი ასეთი ეპიზოდია — სტალინი თანამებრძოლებთან ერთად ზის მაგიდასთან და სადილობს. შემოდის გენერალი და სტალინს მოახსენებს, რომ ალექსანდრე ეგნატაშვილმა (ჩემმა მამამ) თევზი გამოუგზავნა, ცოცხალი თევზი, არცთუ ისე დიდი, მაგრამ ძალიან გემრიელი. სტალინი ეკითხება: „თვითონ სად არის?“ რაზეც უპასუხეს, რომ ის უკვე წყალტუბოში გაემგზავრა...

— ვინმე პროფესიონალს თუ მოუყევით თქვენი ეს მოგონებები?

— არა. დაწერითაც არაფერი დამიწერია. ამისთვის მდგომარეობაა საჭირო. მამა ხშირად გვიყვებოდა სტალინთან შეხვედრების შესახებ, განსაკუთრებით ძველ დროს იხსენებდა, გორსა და იმ მუშტიკრივს, რომელშიც მამამისი ანუ პაპა იღებდა მონაწილეობას...

— როი მედვედევი წერს, სტალინის ყველა პორტრეტი რეტუშირებულია, ერთი ჩემი თანაავტორი კი მომიყვა, ძალიან დაბალი და სახეზე ნაყვავილარი იყოო...

— დაე, იმ ადამიანის დაწერილი წაიკითხოს, ვინც წერს, რამდენჯერაც არ ვიყავი სტალინთან, არასოდეს შემიმჩნევია, ყვავილისგან სახე დაუშნოებული ჰქონოდეს, თვალში ნაყვავილარი არასოდეს მომხვედრია, მგონი, საერთოდაც აღარც ეტყობოდაო.

— მინდოდა, მამაზე მოგეყოლათ.

— მამა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის — ვლასიკის მოადგილე იყო სამეურნეო ნაწილში. მამაჩემის გარდა მოადგილე ოპერატიულ ნაწილში საქართველოდან იყო კიდევ კურსტი, ხოლო კადრების მხრივ — კაპანაძე. სტალინის მითითებით მერე ისინი საქართველოში გადაიყვანეს.

ერთხელაც მამა თურმე სტალინთან იყო, რომ უცებ მხნეობა მოიკრიბა და ეუბნება: „სოსო, ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შენ მიმართ ასეთ დამოკიდებულებას რომ ვხედავ, მეუხერხულება. გავშლი გაზეთს და პირველსავე გვერდზე შენი სურათია, თან დიდი ასოებით წერია — პატაკი სტალინს... სტალინი... სტალინი... სტალინი... მეტისმეტი ხომ არ არის? არის კი ეს საჭირო? სტალინმა თურმე გაიცინა, ულვაშზე ხელი გადაისვა და უთხრა: „ესე იგი, შენც ჩემი წინააღმდეგი ხარ? ადრე ხალხს რწმენა ჰქონდა, ღმერთის სჯეროდა. ახლა წავართვით ხალხს ეს რწმენა, დავუკარგეთ, ვუთხარით, ღმერთი არ არსებობსო, რამაც ისინი დააბნია. ადამიანს რწმენა უნდა ჰქონდეს, ვიღაცის ან რაღაცის უნდა სჯეროდეს, ამიტომაც ხალხს პარტიაზე მივუთითეთ, ვუთხარით, პარტია უკეთესი ცხოვრებისკენ წაგიძღვებათო, მაგრამ ხალხმა ამას ვერაფერი გაუგო, პარტია ხალხისთვის მეტისმეტად აბსტრაქტული ცნებაა, მას რაღაც ხელშესახები სჭირდება, რასაც შეხედავს და დაიჯერებს... ხალხმა როგორმე უნდა შეიგრძნოს პარტია, მაგრამ, როგორ შეიგრძნოს, თუ არა ადამიანის, კონკრეტული პიროვნების მეოხებით.

მამაჩემი სტალინის კოჰორტიდან იყო და მე იმ კოჰორტის, იმ გუნდის მიმართ მშვენიერი მოგონებები შემომრჩა. დაწყებული შვერნიკიდან... თუმცა, არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს, ხრუშჩოვმა როგორ გადაიბარა, როგორ გახდა მისი მხარდამჭერი, მე ეს ძალიან მაოცებს.

— შვერნიკის მოადგილე ხომ ლავრენტი ივანოვიჩ პოგრებნოიც იყო?

— დიახ. თან ყველაზე ერთგული, მისი მარჯვენა ხელი.

— იცნობდა ის მამათქვენს?

— რა თქმა უნდა... იცოდა იმ ნივთის შესახებაც, რომელიც მამას სტალინმა აჩუქა.

— რა საჩუქარი იყო?

— ეს მოხდა 1940 წელს. იქნებოდა ასე, ღამის პირველი ან ორი საათი, როცა იოსებ ბესარიონის ძემ მამა სადღაც წაიყვანა. შინ რომ მოვიდა, ხელში მამას რაღაც ფუთა ეჭირა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე ყველანი გაგვაღვიძა და ფუთა გახსნა. შიგ რაღაც ფანქრის სათლელის მაგვარი ძალიან დიდი, დაახლოებით ოთხმოცდაათი სანტიმეტრის არაჩვეულებრივად კარგი ნამუშევარი, ანტიკვარული საკეცი დანის მაგვარი რამ იდო. დანის პირზე რაღაც ესპანურად ეწერა. როგორც გაირკვა, ეს დიდებული ნივთი ტოლედოში იყო დამზადებული და იოსებ ბესარიონის ძეს მიართვეს, როგორც ესპანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის — ნარგო კაბალიეროს საჩუქარი. ეს ის კაბალიეროა, ვინც ოცდათექვსმეტ წელს გენერალ ფრანკოს ებრძოდა. როგორც ცნობილია, ჩვენ მაშინ კაბალიეროს ვეხმარებოდით. იქ ჩვენი მფრინავებიც იბრძოდნენ, იყო ჩვენგან ძალიან ბევრი სამხედრო მრჩეველიც. იმ დიდ დანასთან ერთად იდო საკანცელარიო ქაღალდების საჭრელი პატარა, გასაოცარი სილამაზის კიდევ ერთი ქორდიკის ფორმის დანა. იყო აგრეთვე ლარნაკისებური ოქროსფერი ბრინჯაოს პატარა, დაახლოებით თხუთმეტი სანტიმეტრის სიმაღლის საფერფლე. ეს სამი ნივთი სტალინმა მამას მაშინ აჩუქა, როცა მხოლოდ ორნი ისხდნენ მაგიდასთან სავახშმოდ. როგორც მამა მოგვიყვა, ისინი პატარა სირჩებით ძალიან სუსტ ღვინოს სვამდნენ. სტალინი უცებ ადგა, საშა მომიცადეო, — უთხრა და გავიდა. მალე უკანვე შემობრუნდა, ის სამი ნივთი შემოიტანა — ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლაში ესპანეთის დახმარებისთვის ეს ნაგრო კაბალიეროსაგან საჩუქრად მივიღეო. ის ნივთები მამას გაუწოდა და თან დაახლოებით ასეთი რამ უთხრა: საშა, ბავშვობა ჩვენ ერთად გავატარეთ. ამიტომაც, არ შემიძლია დავივიწყო ის შორეული წლები, ხოლო განსაკუთრებით გორი. ამ ნივთებს გჩუქნი ჩვენი ერთად გატარებული ბავშვობის სამახსოვროდ. გამომართვი, გეთაყვა, დაე, ეს იყოს ხარკი, ჩვენი მეგობრობის იმ დაუვიწყარი წლების მისაგებელი. დაე, ამ ნივთებმა ყოველთვის გაგახსენოს გორისციხე, სადაც ჩვენ დავიბადეთ... იმედი მაქვს, ეს შენშიც იმავე გრძნობას აღძრავს, რა გრძნობაც მაშინ მეუფლება, როცა შენ გიყურებ და ჩვენი ბავშვობა მაგონდება... დაე, ჩვენი წინაპრები გაგახსენოს, გაგახსენოს ის ადამიანები, რომლებიც გარს გვერტყა: დედაჩემი — ეკატერინე, იაკობი — მამაშენი, შენი ძმა — ვასილი.

თქვა და გადასცა ის ნივთები, რამაც მამა უსაზღვროდ გაახარა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ნივთები ძვირად ღირებული იყო, არამედ იმიტომ, რომ მას სტალინის ხელიდან იღებდა... იმ ძვირფასი ნივთებიდან მხოლოდ დიდი დანა შემომრჩა, იმას ახლა ერთ ჩემს ნაცნობთან ვინახავ, მეშინია, ვაითუ ვინმემ გაიგოს და მომპაროს... რაც თავი მახსოვს, სტალინს პაპაჩემი და მამა ძალიან უყვარდნენ და ამას ყოველთვის გამოხატავდა... მამასაც ძალიან უყვარდა იოსებ ბესარიონის ძე, ბოლომდე მისი ერთგული, მისთვის თავდადებული ადამიანი იყო, შეიძლება ითქვას, რომ მისი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ვოროშილოვი

— ვოროშილოვს ხშირად ვხედავდი. რამდენიმე წელი ზედიზედ ის შვერნიკთან ერთად ისვენებდა და ჩვენთან ხშირად დადიოდა. მართალი გითხრათ, ჩვენთან მისი მოსვლა მაინცდამაინც არ მიყვარდა. მე მას ვაფასებდი და ვაფასებ, მას ახლაც სიყვარულით ვიხსენებ, მაგრამ, აგარაკზე მისი გამოჩენა არ მიყვარდა იმიტომ რომ ვიცოდი, მთელი ოცდახუთი კილომეტრი და შეიძლება მეტიც, ფეხით უნდა გვევლო — ისინი ხომ სტალინის აგარაკიდან ახუნამდე (მთაა სოჭში) ფეხით მიდიოდნენ. მერე ახუნზე უნდა ავსულიყავით, ანუ კიდევ თერთმეტი კილომეტრი ასვლა და თერთმეტი კილომეტრი ჩამოსვლა. იქიდანაც სტალინის აგარაკამდე ფეხით მივდიოდით და მხოლოდ სტალინის აგარაკთან ვჯდებოდით მანქანაში. პირდაპირ რომ იარო ერთ გზაზე ზუსტად ოცდახუთი კილომეტრია, ხოლო მე, როგორც დაცვის უფროსი, წავიდოდი წინ, დავათვალიერებდი ყველაფერს, ვნახავდი, როგორ მიდიოდა დაცვის საქმე, როგორ მუშაობდნენ ჩვენი ბიჭები. მივბრუნდებოდი უკან და ახლა შვერნიკთან და ვოროშილოვთან უნდა მესაუბრა.

(გაგრძელება იძნება)

სტალინი. პირადი ცხოვრება

ვიოლინი ეგნატაშვილის მოგონებებში

(ჩაიწერა ვ.მ. ლოგინოვმა)

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87, 90, 95, 99, 103, 108, 113

დედამიწის ზურგზე

ტერორისტები, რომლებმაც სტამბოლში აეროპორტში მოაწყვეს თავდასხმა, ვიდეოზე აღმოჩნდნენ

ერთ-ერთ რგოლზე, რომელიც ქსელშია ჩადებული, მოსჩანს, ტერორისტი როგორ ეცემა იატაკზე და მწოლიარე აფეთქებს ბომბს. მანამდე ცდილობდა მის გაუვნებლობას ვიღაც მამაკაცი თეთრ პერანგში — ალბათ, აეროპორტის თანამშრომელი. მეორე ვიდეოზე გადაღებულია ტერორისტი, რომელიც დარბის აეროპორტში ავტომატით.

ტრამპმა და კლინტონმა მოუწოდეს, სხვაგვარი რეაგირება მოახდინონ სტამბოლის აეროპორტში მომხდარ ტერორისტულ აქტზე

ტრამპი მოუწოდებდა გააუმჯობესონ უშიშროება ამერიკაში, კლინტონი კი — უფრო აქტიური თანამშრომლობისაკენ ევროპის მხრიდან. ტერორისტულმა აქტმა აეროპორტში, რომელიც ალბათ განახორციელეს ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებულმა თვითმკვლელებმა, 41-ზე მეტი კაცის სიცოცხლე შეიწირა.

ერდოღანმა მოუწოდა მსოფლიოს - გაერთიანდნენ ტერორიზმთან ბრძოლაში

თურქეთის რეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერორისტებისათვის არ არის სხვაობა სტამბოლსა და ლონდონს, ანკარასა და ბერლინს, იზმირსა და ჩიკაგოს შორის: „თუ მთელი მსოფლიო არ გაუწევს გადამწყვეტ წინააღმდეგობას ტერორისტებს, ისინი განახორციელებენ ყველა თავის საშინელ გეგმას.

აშშ-მა, იაპონიამ და სამხრეთმა კორეამ მოაწყვეს პირველი ერთობლივი სწავლება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რაკეტების ხელში ჩასაგდებად

მანევრები გაიმართა ჰავაის კუნძულებთან. მათში მონაწილეობას ღებულობდნენ ხომალდები ადრეული აღმოჩენის სისტემით. სამხრეთმა კორეამ იქ გაგზანა საესკადრო ნაღმზიდი ბორტზე მართული რაკეტებით. ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მეცადინეობაში მონაწილეობდა ორი ხომალდი, იაპონიას წარმოადგენდა ერთი ხომალდი.

მერკელმა განაცხადა ევროკავშირის მზადყოფნის შესახებ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებისათვის

ბრიუსელში პრესკონფერენციაზე კანცლერმა განაცხადა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან ერთად მიაწოდა ინფორმაცია თავის კოლეგებს ევროკავშირიდან: „ჩვენ ცხადად ვთქვით, რომ, სამწუხაროდ, შეთანხმების შესრულების მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა სანქციების გაგრძელება... წინააღმდეგობები სანქციების გახანგრძლივებისათვის უკვე აღარაა“.

ნიდერლანდი მზადაა ევროკავშირთან უკრაინის ასოციირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებისთვის

ჰააგა არ მოაწერს ხელს დოკუმენტს იურიდიული ცვლილებების გარეშე, განაცხადა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა მარკ რიუტემ ბრიუსელში ევროკავშირის ლიდერების სამიტის შემდეგ. ჯერჯერობით არაა ცნობილი, აუცილებელია თუ არა შეიცვალოს შეთანხმების თავად ტექსტი თუ გამოინახება სხვა გადაწყვეტილება. რიუტეს სიტყვებით ნიდერლანდს სჭირდება იურიდიულად დამავალდებულებელი გადაწყვეტილება, სანამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერებოდეს.

„ჩვენ და მეგრელები ძმები ვართ, ჩვენ და ქართველები - ბიძაშვილები“

„ისტორიულ ლაზეთში ჩემი გამგზავრების მიზანი ცნობილი მუსიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ქაზიმ ქოიუნჯუს გარდაცვალებიდან 11 წლისთავზე დასწრება გახლდათ. ეს იყო ადამიანი, რომელმაც თურქეთში ლაზური კულტურის რესპუბლიკის დონეზე პოპულარიზაცია შეძლო. გარდა ამისა, ის აქტიურად იბრძოდა გიგანტური ჰესებისა და ზღვისპირა რეგიონებში ავტობანების მშენებლობის წინააღმდეგ, რაც, მისი აზრით, გარემოს ანადგურებდა. ამასთანავე, იგი იბრძოდა მცირე ერების ენების გადარჩენისთვის. 2005 წელს მძიმე დიაგნოზი დაუსვეს და იმავე წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ სოფელში, პანჭოლში. მას შემდეგ პანჭოლი ყოველი წლის 25 ივნისს მექაა როგორც ლაზებისთვის, ისე ყველასთვის, ვინც ქოიუნჯუს შემოქმედებას აღიარებს. ეს ადამიანები იკრიბებიან მის საფლავზე, შემდეგ კი ხოფაში იმართება მუსიკალური ფესტივალი და სხვა ღონისძიებები.

უკვე მესამე წელია, ამ ღონისძიებებს საკუთარი ინიციატივით ვესწრები. აქამდე საქართველოდან თითო-ოროლა ადამიანი ასევე საკუთარი ინიციატივით მიდიოდა, მაგრამ ამჯერად ჩემი მოწადინებით 5-ნი ვიყავით. ამ ფაქტს ძალიან დადებითად შეხვდნენ ლაზები. აღნიშნეს კიდეც, „როდესაც ამხელა მანძილიდან ჩამოდიან ქაზიმის საფლავზე, ეს ნიშნავს, რომ მისი საქმე ცოცხალიაო“.

ზოგადად, ისინი ძალიან ემადლიერებიან ქართველი საზოგადოების ლაზურ კულტურაზე მომუშავე წარმომადგენლებს. ეს განსაკუთრებით ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კავკასიოლოგიის სკოლას. ძალიან აფასებენ არნოლდ ჩიქობავას და სხვა მოღვაწეებს, რომლებიც სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ლაზურ კულტურას. ამასთან, იქაურები დიდ წუხილს გამოთქვამენ რიგი ქართველების ქცევის გამო, რომელიც, მათი შეფასებით, ლაზების, როგორც ხალხის უფლებებს ლახავს. კერძოდ, ლაზები, განსხვავებით გურჯებისგან, თავს ქართველებად არ მიიჩნევენ. ისინი თავს ქართველების ახლო მონათესავე ხალხად თვლიან, თუმცა, არა ქართველებად. ამავდროულად არიან ადამიანები, მათ შორის — საქართველოს საპატრიარქოში და ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ლაზებს არწმუნებენ: **„თქვენი ენა უბრალოდ ქართული დიალექტია, თქვენი რწმენა თქვენი არ არის და უნდა მოინათლოთ, თქვენ არა ერი, არამედ ქართველი ერის სუბეთნიკური ჯგუფი ხართო“. ამის გამო ლაზები ძალიან ღიზიანდებიან.**

საქმე იქამდე მივიდა, რომ პეტიცია შექმნეს, რომელსაც უამრავმა საზოგადო მოღვაწემ მოაწერა ხელი. მისი ფორმულირება დაახლოებით ასეთი იყო: „ჩვენ არ ვართ ქართველები, ჩვენი ენა ცალკე ენაა, ვართ მუსლიმები და გთხოვთ, ამას შეეგუოთ. თუ მსგავსი განზრახვებით მოდიხართ ჩვენთან, არ გვინდა თქვენთან ურთიერთობა“. ამ დაძაბულობამ, ბუნებრივია, ქართულ-ლაზური ურთიერთობა დაზარალა. მახსენდება შემთხვევა, როდესაც ერთი ლაზი მოღვაწე ესტუმრა სამეგრელოს და ერთერთმა აქტივისტმა სცადა მისი მონათლვა, დაჰყავდა ეკლესიაეკლესია. საბოლოოდ ლაზმა უთხრა, „მე არც ჩვენი მეჩეთი მაინტერესებს და არც თქვენი ეკლესია. აქ იმის სანახავად ჩამოვედი, როგორ ურტყამს მეგრელი გლეხი თოხს მიწასო“. ანუ მეგრული კულტურა აინტერესებდა. ჩემის მხრივ მინდა, აღვნიშნო: მართალია, ის ქართველები, რომლებიც მსგავსი მიზნებით ჩადიან ლაზეთში, ფიქრობენ, რომ ეროვნულ საქმეს ემსახურებიან, თუმცა, რეალურად დათვურ სამსახურს გვიწევენ.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები

თურქეთში ცხოვრობს უამრავი ლაზი ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, პარლამენტშიც კი არიან წარმოდგენილები. მოქმედებს უამრავი ლაზური ორგანიზაცია, სტამბოლში არსებობს უმსხვილესი კულტურული ცენტრი. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ თანამშრომლობს თურქეთის ქართველებთან და არ უწევენ ლობირებას ქართულ სახელმწიფოს. არადა ეს ლობი ქართული სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. გარდა ამისა, მათ ძალიან დიდი პოტენციალი აქვთ ინვესტიციების კუთხით. სხვათა შორის, ისინი „ლაზიკის“ პროექტით იყვნენ დაინტერესებული, ამას უნდა მოჰყოლოდა ლაზებით დასახლებული არტაშენისა და ლაზიკის დაძმობილება, თუმცა საბოლოოდ პროექტი გაჩერდა.

> **ის რენესანსი, რომელიც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს ქართულმა სუბეთნიკურმა ჯგუფებმა ერთიან წიაღში გაიარეს, ლაზებს არ გაუვლიათ. რეგიონში უკვე ოსმალეთის იმპერიის შემოსვლამ კიდევ უფრო გააღრმავა ლაზების ქართველებისგან გაუცხოების პროცესი. პოლიტიკურმა პროცესებმა მათი ქართული წიაღიდან მოწყვეტა და ცალკე ჩამოყალიბება განაპირობა. და დღეს გვაქვს რეალობა, როდესაც ლაზები არც თურქებად თვლიან თავს, მაგრამ არც ქართველებად... ფიქრობენ, რომ სრულიად სხვა ეთნიკური ჯგუფია, რომელიც ქართველებს ენათესავება. ასეთი მიდგომა აქვთ ლაზებს: „ჩვენ და მეგრელები ძმები ვართ, ხოლო ჩვენ და ქართველები - ბიძაშვილებიო“.**

რაც შეეხება ლაზებთან მჭიდრო კონტაქტის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ეს შესაძლოა, გამოყენებულ იქნას არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით. ლაზებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ როგორც სხვადასხვა თურქულ პოლიტიკურ ჯგუფებთან, ისე საზოგადოებასთან და მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რა მოხდა აფხაზეთში სინამდვილეში. ლაზები ძალიან მტკივნეულად განიცდიან იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის ომს უმეტესწილად მეგრელები ემსხვერპლნენ, რომლებსაც ისინი უახლოეს ნათესავებად მიიჩნევენ.

გარდა ამისა, თურქეთში მცხოვრები აფხაზები უკანასკნელ წლებში ძალიან გააქტიურდნენ, ცდილობენ ლაზებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებას, სეპარატისტული იდეების თავს მოხვევას. რამდენიმე ერთობლივი კონფერენციაც გამართეს. ამ ეტაპზე ლაზები ნეიტრალურ პოზიციას იკავებენ, მაგრამ თუ ქართული სახელმწიფო ადეკვატურად არ იმოქმედებს, ადრე თუ გვიან, შეიძლება, იქამდეც მივიდეთ, რომ ლაზებმა სეპარატისტების პოზიცია გაიზიარონ. არანაირად არ შედის ჩვენს ინტერესებში, ლაზურმა ორგანიზაციებმა განაცხადონ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა... და სეპარატისტებმა თურქეთში საინფორმაციო ომში უპირატესობა მოიპოვონ.

ისტორიული რაკურსი: მაინც ვინ არიან ლაზები

ლაზების დასახლება საქართველოს ტერიტორიაზე კვარიათიდან იწყება და გრძელდება უკვე თურქეთის ტერიტორიაზე მელიათამდე. ისტორიულად, ლაზების სამოსახლო უფრო ფართო უნდა ყოფილიყო. „ქართლის ცხოვრებაშიც“ აღნიშნულია, რომ ქალაქი ტრაპიზონი ლაზებით იყო დასახლებული, მაგრამ ნელ-ნელა ჯერ - ბერძნების, შემდეგ თურქების მხრიდან მოხდა მათი ასიმილაცია. **გარდა ამისა, ისინი თურქეთის სხვადასხვა პროვინციაშიც ჩასახლდნენ კომპაქტურად.**

ლაზები საუბრობენ ლაზურად, ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის მეც, მივიჩნევთ, რომ ეს არის მეგრულის განშტოება. რაც შეეხება მათ იდენტობას, გარდა ისტორიული ლაზეთის მცირე ნაწილისა, ის ქართული სახელმწიფოს ნაწილს „ოქროს ხანის“ პერიოდშიც კი არ წარმოადგენდა. ის შედიოდა ბიზანტიის, ან ტრაპიზონის იმპერიაში და უფრო მიბმული იყო ბერძნულ კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრებს. ის რენესანსი, რომელიც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს ქართულმა სუბეთნიკურმა ჯგუფებმა ერთიან წიაღში გაიარეს, ლაზებს არ გაუვლიათ. რეგიონში უკვე ოსმალეთის იმპერიის შემოსვლამ კიდევ უფრო გააღრმავა ლაზების ქართველებისგან გაუცხოების პროცესი. პოლიტიკურმა პროცესებმა მათი ქართული წიაღიდან მოწყვეტა და ცალკე ჩამოყალიბება განაპირობა. და დღეს გვაქვს რეალობა, როდესაც ლაზები არც თურქებად თვლიან თავს, მაგრამ არც ქართველებად... ფიქრობენ, რომ სრულიად სხვა ეთნიკური ჯგუფია, რომელიც ქართველებს ენათესავება. ასეთი მიდგომა აქვთ ლაზებს: „ჩვენ და მეგრელები ძმები ვართ, ხოლო ჩვენ და ქართველები — ბიძაშვილებიო“. ამასთან, მიაჩნიათ, რომ მეგრელების ქართველობა მათი პოლიტიკური არჩევანია, რადგან ცხოვრობენ საქართველოში და თავად მიიღეს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მონაწილეობა.

რაც შეეხება საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზებს, აქ სრულიად განსხვავებული მდომარეობაა. ისინი თვლიან, რომ არიან ლაზები, მაშასადამე — ქართველები. მაგალითად, საბჭოთა კავშირის საზღვრების დემარკაციის დროს სოფელი სარფი ორად გაიყო: ერთი ნაწილი მიეკუთვნა თურქეთს, მეორე — საქართველოს. ბუნებრივია, ოჯახები ორად გაიყვნენ, ერთი ძმა გამოღმა სარფში დარჩა, მეორე — გაღმა. საინტერესოა, რომ გამოღმა სარფელი თავს ლაზად, მაშასადამე ქართველად მიიჩნევს, გაღმა სარფელი კი — ლაზად.

თურქეთში მცხოვრები ლაზები აღიარებენ, რომ ქართველი ლაზები ყველაზე კარგად საუბრობენ ლაზურად, მაგრამ თვლიან, რომ ლაზები ასიმილირდნენ ქართველებში და ლაზური იდენტობა დაკარგეს.

ალეკო კვახაძე,
კავკასიოლოგი, (სააგენტო„აქცენტი“)

◎ „ევრო – 2016“

ინყება მორიგი გასხვრილვა

მაშ ასე, ორდღიანი ანტრაქტის შემდეგ დღეს იწყება ევროპის XV ჩემპიონატის მეოთხედფინალური რაუნდი, რომელიც მრავალ საინტერესოს გვიქადის.

ვინაიდან ფრანგული ფორუმის დაწყებიდან განვლილი პერიოდის განმავლობაში მეტ-ნაკლებად მის თითოეულ მონაწილეს შევაწიეთ ორიოდე სიტყვა, მოდით, დავკონკრეტდეთ და ამჯერად მხოლოდ უძლიერესთა ოქტეტის წევრების შანსები შევაფასოთ წყვილების მიხედვით (ამ ეტაპის ოთხივე შეხვედრა თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება).

30 ივნისი. პოლონეთი – პორტუგალია. მარსელი.

ამ მეტოქეთა ბრძოლაში ფავორიტის გამოცნობა მართლაც ურთულესი საქმეა: აქეთ – ლევანდოვსკი, რომელსაც მიმდინარე ტურნირში ჯერაც არ გაუსვრია; იქით – რონალდუ, რომელმაც უიღბლო სასტარტო მატჩების შემდეგ უნგრელებთან „დუბლი“ შეასრულა.

ისე, დაცვის შედარებით საიმედო თამაშის გამო ბუკმეკერთა უმეტესობა უპირატესობას ადამ ნავალკას გუნდს ანიჭებს, მაგრამ...

1 ივლისი. უელსი – ბელგია. ლილი.

საბედისწერო ბრექსითის შემდეგ გარეთ ბეილსა და კამპანიას ბრიტანელთა პრესტიჟის დაცვა მართებთ, მაგრამ ვერავინ იწინასწარმეტყველებს, როგორ გაუმკლავდებიან ისინი არა მარტო აღნიშნული ჯახის, არამედ მთლიანად „ევრო – 2016“-ის ერთ-ერთ ფავორიტს. დაგვეთანხმებით, დე ბრუინი, ლუკაკუ და, განსაკუთრებით, შესანიშნავ კონდიციებ აკრეფილი აზარი შეხვედრიდან შეხვედრამდე უმატებენ და ნებისმიერი წინაღობის გადალახვა ძალუძთ.

2 ივლისი. გერმანია – იტალია. ბორდო.

მართალია, ბუნდესლიგაშაფტი უდანაკარგოდ, გოლის გაუშვებლად მიიწევს წინ, მაგრამ რა ვუყოთ ტრადიციას, რომელიც მსოფლიოს ოთხ-ოთხგზის ჩემპიონთა ხანგრძლივ პრინციპულ დავაში აპენინელთა უპირატესობაზე მეტყველებს და ძნელი გასახსენებელია, უკანასკნელად როდის სძლია გერმანიამ უხერხულ მეტოქეს. გასათვალისწინებელია აწ უკვე კონტინენტის ექსჩემპიონ ესპანეთთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ „სკუადრა აძურას“ მიერ მიღებული ფსიქოლოგიური დოპინგის სოლიდური დოზა, მაგრამ მაინც ნუ დავივიწყებთ: გერმანია გერმანიაა!

3 ივლისი. საფრანგეთი – ისლანდია. პარიზი.

ჩრდილოელებს ყოველგვარი წნეხი უკვე მოხსნილი აქვთ – ისინი ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში სამშობლოში გმირებად ბრუნდებიან მაშინ, როცა მასპინძლებს, რომ იტყვიან, უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ. მოკლედ, სეტყვა თუ ქვა? – ამას მალევე შევიტყობთ.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ჩვენი კაეშანი ბრიტანეთის გამო

ვაჰ, კაცო, ეს რა უქნიათ ამ ოხერტიალ ბრიტანელებსა. ახლა გამოყოფაზედ და განდგომაზედ შეიძლებოდა ლაპარაკი? ახლა ამის დრო იყო? მაგრამ მუხთალმა სვე-ბედმა ჩვენი დარდები და კაეშანი აბა რა იცის და სწორედ მაშინ მუხთლობს, როდესაც ევროპისაკენ მიმავალ მატარებელს ძველთბილისურად გვერდულად უნდა შევხტომოდით.

ჩვენ კარგი, მაგრამ ბრიტანეთის მკვიდრ ლამაზმანებს რა პასუხს სცემენ ეს ოხრები? რა ქნას აბიგაილ კლენსმა, როდესაც საფრანგეთში წამოპლაკვა და თამამი ფოტოების გადაღება მოუნდება? ან ლიოსა ბაქსტერმა რაღა ქნას, როდესაც ინგლისის რეალობა მოსწყინდება და ფაბიო კანავაროსთან გაჩაღებულ მხურვალე ვნებებს გაიხსენებს?

მერე ფეხბურთელებს რა პასუხს სცემთ? მარიო ბალოტელი მაინც არ გეცოდებათ, რომელმაც მანჩესტერში სამი ფაეტონი სატრფო დატოვა და იმ ქალების ეგრე მიგდება და მიყურისძირება შეიძლება? აფსუს, რა დრო იყო, ბრიტთა კუნძულიდან ევროპის ნათელსვეტი რომ ამოდიოდა! დიდი ბიშტი, თქვენა, ბრიტანელებო – დიდი ბიშტი!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

ხუთი კანდიდატის ვინაობა ცნობილია. ლეონიდ არკაევმა უნდა დაასახელოს მეექვსე.

ვლადიმერ გოგოლაძე თუ ვალენტინ მოგილნი?

რუსი ქართველ სპორტსმენზე უფრო გამოცდილია, ტიტულებიც ბლომად აქვს - მსოფლიოს ჩემპიონიცაა და მსოფლიოს თასის მფლობელიც.

გოგოლაძესაც აქვს თავისი კოზირი, მაგრამ გაჭრის კი?



ლეონიდ არკაევი:

... ექვსეულში ვლადიმერ გოგოლაძეს დავაყენებდი

შვიდი წლისამ სპორტული ტანვარჯიშის სექციაში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ არნოლდ კვეტენაძესთან დაიწყო ვარჯიში. ნიჭიერი შეგირდის გარჯამ შედეგიც მალე გამოიღო. ვლადიმერ გოგოლაძისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი 1982-1985 წლები აღმოჩნდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში მან არაერთ წარმატებას მიაღწია: 1982 წლის შემოდგომაზე თბილისმა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საკავშირო პირველობას უმასპინძლა. მაშინ მრავალჭიდი რუსმა ვალენტინ მოგილნიმ მოიგო, იგი ორძელსა და ღერძზეც შეუდარებელი იყო; თავისუფალ ვარჯიშში გოგოლაძემ გაიმარჯვა, ამირან ბერიანიძეს ბჯენით ხტომებში ერგო „ოქრო“, რგოლებზე ყველას ალმაათელმა ვალერი ლუკინმა აჯობა. იტალიაში ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე მრავალჭიდში ვერცხლის მედალი დაიმსახურა – თანაგუნდელ სერგეი გუსევს 0.15 ქულით ჩამორჩა, თავისუფალ ვარჯიშსა და ღერძზე 9.8-9.8 ქულით ყველას აჯობა: პირველად იქ შეასრულა თავისუფალ ვარჯიშში ორიგინალური კომბინაცია „დელასალი“ – ყირაზე ფეხშლით ასვლა, ჩამოსვლა და ისევ ასვლა, რომელიც მსოფლიო ტანვარჯიშში დღესაც გოგოლაძის ილეთად მოიხსენიება. თბილისში საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა სამატჩო შეხვედრაში გაიმარჯვა, რგოლებსა და ბჯენით ხტომებშიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, მესამე იყო ტრნავაში საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობა-84“-ში (პირველი ადგილი რგოლზე, მეორე – ღერძზე). ლადომ შესანიშნავად იასპარეზა 1984 წლის შემოდგომაზე ტაშკენტში მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაზე. ყველა იარაღზე სტაბილურად გამოვიდა, აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. მართალია, მრავალჭიდში ვალერი ლუკინმაც 114,2 ქულა მოაგროვა, მაგრამ გოგოლაძემ მაინც აჯობა კონკურენტს: ღერძსა და თავისუფალ ვარჯიშში „ოქრო“ ერგო, რგოლებზე - „ვერცხლი“, ბჯენით ხტომებში – „ბრინჯაო“. მერე უფროსებშიც მოსინჯა ძალები და იქაც გაუშინაურდა კვარცხლბეკს. ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ვლადიმერ გოგოლაძემ ევროპის ჩემპიონატზე მრავალჭიდში მესამე ადგილი დაიკავა. ამ შეჯიბრების შემდეგ ქართველ ტანმოვარჯიშეს ტრავმები მოუხშირდა და ბევრი შეჯიბრებაც გამოტოვა. 1986 წელს იგი საკავშირო ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ორი კვირით ადრე სერიოზული ტრავმა მიიღო, ლადოს ნაცვლად მონრეალში ვალენტინ მოგილნი გაემგზავრა და შინ მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლით დაბრუნდა. გოგოლაძემ არნოლდ კვეტენაძესთან ერთად ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ იმავე წლის სექტემბრისთვის მწყობრში ჩამდგარიყო. მოახერხა კიდეც. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ წარმატებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. ყველაზე მაღალი შეფასება ღერძზე ვარჯიშში დაიმსახურა – 9.9, მრავალჭიდში კი მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმირ არტიომოვის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. სარბიელზე ქართველი ტანმოვარჯიშის ასეთ ტრიუმფალურ დაბრუნებას არავინ ელოდა...



1986 წლის შემოდგომაზე როტერდამში დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლადო გოგოლაძემ თავისუფალ ვარჯიშში, ორძელსა და ბჯენით ხტომებში პირველობა არავის დაუთმო, ტაიჭზე ბრინჯაო ხვდა, საბოლოოდ კი ვალერი ლუკინთან ერთად მრავალჭიდში მეორე ადგილს დასჯერდა, პირველობა ჩინელ ჰუ იონს ერგო. ეს შეჯიბრება ერთგვარი პრელუდია იყო მსოფლიო უნივერსიადისა, რომელსაც მომდევნო წელს ზაგრებმა უმასპინძლა. ასპარეზობის წინა დღეს გოგოლაძე ჩვეულებრივ დარბაზში ვარჯიშობდა, მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამა უნდა მოესინჯა. ღერძიდან ხალიჩისკენ გაემართა სამმაგი მალაყის გასამეორებლად. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა არკაევმა ისევ ღერძთან დააბრუნა. მთელი კომბინაცია მონდომებით შეასრულა. მთავარმა მწვრთნელმა კიდევ ერთხელ გაამეორებინა. ის იყო, კომბინაციას ასრულებდა, რომ ღერძს მოსწყდა, იდაყვი ამოუვარდა და მყესები დაუწყდა.

იმ უნივერსიადაზე იური კოროლიოვმა გაიმარჯვა – ექვსი მედალი დაიმსახურა, მათ შორის ხუთი – ოქროსი. ლადოს ტრავმა ბევრად უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ექიმები ფიქრობდნენ. ორი თვე, ფაქტობრივად, არ უვარჯიშია. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ საკავშირო შეკრებაზეც გამოიძახეს, მაგრამ ექიმებმა მთელი დატვირთვით წვრთნის უფლება არ მისცეს. ასე უვარჯიშებელი სადღა წავიდოდა - ქართველმა ტანმოვარჯიშემ იმ წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვა, საიდანაც ნოვიკოვი ოქროს მედლით დაბრუნდა.

1988 წლის გაზაფხულზე უნდა გადაწყვეტილიყო, წავიდოდა თუ არა ლადო გოგოლაძე სეულის თამაშებზე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს ჩელიაბინსკმა უმასპინძლა. მთავარი მწვრთნელის პირობა ასეთი იყო - მრავალჭიდში საუკეთესო ოთხეული ოლიმპიადაზე წასვლას დაიმსახურებდა. ეს ადგილები დმიტრი ბელოზერჩევმა, ვლადიმირ არტიომოვმა, ვალერი ლუკინმა და იური კოროლიოვმა დაიბევეს. დარჩენილ ორ ადგილზე რამდენიმე ტანმოვარჯიშე აცხადებდა პრეტენზიას. გოგოლაძემ მრავალჭიდში მე-9 ადგილი დაიკავა. ნაკრებში მოხვედრის კიდევ ერთი შანსი რჩებოდა – საკავშირო თასის გათამაშება და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ცალკეულ იარაღებზე. ლადომ აქ მართლაც იყოჩაღა - მრავალჭიდში მეხუთე ადგილი დაიკავა და თავისუფალ ვარჯიშში სამმაგი მალაყიც უნაკლოდ შეასრულა. ქართველი ტანმოვარჯიშე, სერგეი ხარკოვი და ვალენტინ მოგილნი ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდნენ. არკაევმა გუნდის საბოლოო შემადგენლობა არ დაასახელა, რომ შეჯიბრების წინა დღეებში მოდუნების უფლება არავის ჰქონოდა, თუმცა, ყველა გრძნობდა, რომ მეექვსე მონაწილე მწვრთნელს გოგოლაძესა და მოგილნის შორის უნდა ამოერჩია.

18 სექტემბერს ორთაბრძოლები უნდა დაწყებულიყო, წინა დღეს კი ნაკრების შემადგენლობა არავინ იცოდა. არკაევმა რჩევისთვის მწვრთნელთა საბჭოს მიმართა. ყველამ გოგოლაძეს დაუჭირა მხარი, ოღონდ იმ შემთხვევაში, სამმაგ სალტოს თუ უშეცდომოდ შეასრულებდა. ლადომ ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა. მოგილნის ცრემლით აევსო თვალები. „მეშვიდე ზედმეტია“ – ვერც კი წარმოუდგენია, რომ ეს მეშვიდე თავად შეიძლება იყოს.

არკაევი აცხადებს – გუნდის ექვსეულს შეჯიბრების დაწყებამდე 20 წუთით ადრე გაგაცნობთო. ვლადიმერ გოგოლაძესა და არნოლდ კვეტენაძეს ეს 20 წუთი საუკუნედ ექცათ.

და, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქეს: არჩევანი ლადოზე შეჩერდა, თანაც მას მძიმე მისია დაეკისრა – საბჭოთა ნაკრებიდან პირველს უნდა დაეწყო შეჯიბრება. ღირსეულად გაართვა თავი. 6-დან 4 იარაღზე სწორედ მისი შედეგი შევიდა საერთო ჩათვლაში. 20 სექტემბერს ვლადიმერ გოგოლაძემ და მისმა თანაგუნდელებმა – დმიტრი ბელოზერჩევმა, სერგეი ხარკოვმა, ვალერი ლუკინმა, ვლადიმერ არტიომოვმა და ვლადიმერ ნოვიკოვმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს. თითოეულმა მათგანმა უმაღლეს დონეზე შეასრულა ვარჯიშები, თუმცა, ყველაზე შთამბეჭდავი ლადოს სამმაგი მალაყი იყო, რომელიც ოლიმპიადების ისტორიაში პირველად შესრულდა.

მოგვიანებით ლეონიდ არკაევი იტყვის: „არც მეეჭვებოდა, რომ სეულის ოლიმპიადაზე ექვსეულში ვლადიმერ გოგოლაძეს დავაყენებდი“...

ვლადიმერ გოგოლაძე და არნოლდ კვეტენაძე 1991 წლის გაზაფხულზე ამერიკაში გაემგზავრნენ. ლადომ პროფესიონალ ტანმოვარჯიშეთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზა. მერე იქვე დარჩნენ სამუშაოდ. დღემდე ჩიკაგოს მახლობლად ცხოვრობენ, თავიანთი სატანვარჯიშო სკოლა აქვთ და ამერიკელ ჩემპიონებს აფრთიანებენ.

ვაჟა დანელია

◎ სულიერება

„შავლეგ შენი შავი ჩოხა“...

30 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს წმინდა მოწამე შალვა ახალციხელს.

...წმინდა შალვა ახალციხელი გამორჩეული რაინდი და მეომარი იყო თამარის მხედრობაში. ერთგულების, სიმამაცისა და ვაჟკაცობისთვის დიდმა თამარ მეფემ იგი ახალციხის მთავრად დანიშნა. შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ მან ხალიფას დროშა წამოიღო ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად...

თამარის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში უთვალავი ლაშქრით. რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ მეომრებს (ქართველებს) მთავრად მოხუცებული ათაბაგი იოანე დაუდგინა. ძმები შალვა და იოანე ახალციხელები 6 000 მეომრით იბრძოლეს 200 000 მტრის წინაღამდეგ სოფელ გარნისთან.

ძმები ელოდნენ მაშველ ჯარს, მაგრამ ამაოდ... ქართველი მანდატურთუხუცესი ტყვედ ჩაიგდო ჯალალედინმა... დიდხანს ცდილობდა, ჯალალედინი უსჯულოებისაკენ მოედრიკა ზნესრული შალვა-რაინდი, მაგრამ, როცა ვერას გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა. წამების ჟამს შალვა სიხარულით ამბობდა: „...დავითმინოთ შალვა სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიც, ერთგზის წინაუძს ყოველსა კაცსა“.

დღევანდელი დღის წმინდანის მადლი შეეწიოს სრულიად საქართველოს!

გიული ლიპარტია

◎ წერილი რედაქციას

მათ სიცოცხლე გამიხანგრძლივეს!

ჩემი საყვარელი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მინდა, გადავუხადო თბილისში, მუხიანში მდებარე კარდიოლოგიური სამედიცინო კლინიკის (ხელმძღვანელი ბატონი **შალვა მსხილაძე**) მთელ კოლექტივს. მე ხანდაზმულ, აფხაზეთიდან დევნილ პედაგოგს სიცოცხლე შემინარჩუნეს და უმძიმესი მდგომარეობიდან გამომიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი გაჭირვება გადავიტანე, მაინც ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ პროფესიონალი ახალგაზრდა ექიმების **იური ფხაკაძისა** და **ლაშა ჩანტლაძის** წყალობით ცოცხალი ვარ და მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებაზე ვოცნებობ.

დიდი მადლობა, შვილებო, წინსვლას და მრავალი თქვენი პაციენტის გახარებას გისურვებთ.

ამალია ტყემალაძე-მშვიდობაძე
აფხაზეთიდან დევნილი, სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის ყოფილი პედაგოგი.

* * *

გთავაზობთ ქალბატონ ამალიას (ლილის) პატარა ჩანახატს

ოცნებად დარჩენილო, ჩემო ბუხარო!

– Здравствуйте, Лили Виссарионовна! – უთენია მესალმება ჩემი რუსი მეზობელი ვასილიჩი.

– ვესალმები. ქათინაურებით მავსებს – ჩვენს ქუჩაზე ყველას მასწავლებელი ბრძანდებით, ქალბატონო ლილიო. მეღიმება, მადლობას ვუხდი კმაყოფილი ვასილიჩს კომპლიმენტებისთვის, მაგრამ იგი არ ჩერდება და საუბარს აგრძელებს – ჩვენს ქუჩაზე თითქმის ყველას გავუკეთე ბუხარი, თქვენ კი არა გაქვთ, მსურს რომ სამახსოვროდ დაგრჩეთ ჩემგან და აუცილებლად მინდა, გავაკეთო.



არ ვარ მაგისთვის მზადმეთქი – ვუარობ ვასილიჩის საჩუქარზე.

მეორე დღეს მეუღლესთან ერთად მეწვია, ჩვენი სახლის პირველ სართულზე საბუხრე ადგილი შეარჩია, პირდაპირ მიბრძანა რა მასალა იყო საჭირო, თან დაამატა თანხა არ მიხსენოო და მისი ვიზიტიც დასრულდა.

ასე გაჩნდა ჩემი სოხუმური სახლის პირველ სართულზე ულამაზესი ბუხარი. მაისის თვე იყო. ზამთრამდე კარგა ხანია დარჩენილი. პატარა ბავშვივით მიხარია, როდის აგუზგუზდება ჩემი ბუხარი, დღეებს ვითვლი...

არ დამცალდა ოცნების ასრულება – ჩემს ბუხარში ცეცხლის დანთება და ნაკვერცხლების ჩხრეკა, გათბობა. არ დამაცალეს ჩემმა აფხაზმა „ძმებმა“ და სიძულვილით გულგავსილმა გადამთიელებმა – მეც, როგორც უამრავმა ჩემმა თანაქალაქელმა სოხუმი დავტოვეთ და საკუთარ ქვეყანაში დევნილებად ვიქეცით.

ხშირად გაიგონებთ, ვასილიჩ, თავს ვხრი თქვენი გულისხმიერებისა და კეთილი გრძნობების წინაშე. „თქვენ რუსი და მე ქართველი, რად გვიყვარდა ერთმანეთი...“

დღეს?

ასე, ჩემო კარგებო, ვერ დავანთე „ვასილიჩის ბუხარი“ ჩემი შრომით აგებულ ბინაში. ვერ ვნახე მისი საკვამურიდან ამოსული ბოლი, სიზმარივით ჩამრჩა ზაფხულის თვეში გაჩენილი იმედი, ზამთარში მისი აგუზგუზებისა, იმედი, ძმათამკვლელმა ომმა რომ დამინგრია. ალბათ ვასილიჩიც აღარ არის ცოცხალი, მაგრამ ჩემში დღესაც ცოცხალია, ცოცხალია ამ ლამაზი საჩუქრისთვის, მადლობთ, ვასილიჩ!

შავი ზღვის დაბინძურებას არავის აპატიებენ

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, გემის მიერ შავი ზღვის დაბინძურების 3 ფაქტი გამოავლინეს. თურქეთის, ბელიზისა და ლიბერიის დროშებით მცურავმა გემებმა ფოთის ნავსადგურში ფეკალური წყლები ჩაღვარეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამივე გემის კაპიტანს დაეკისრა ჯარიმა 65 000 ლარის ოდენობით. მათვე მოუწიათ გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის საერთო მოცულობა 10 000 ლარს აღწევს.

სამართალდამრღვევმა გემებმა საქართველოს ტერიტორიული წყლები დაკისრებული ჯარიმისა და ზიანის ოდენობის გადახდის შემდეგ დატოვეს.

ბერლინში საქართველოსა და საფრანგეთის საელჩოს ავტომანქანები დაწვეს

ბერლინში საქართველოს საელჩოს ავტომანქა დაწვეს, როგოგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დამწვარია ასევე სხვა ქვეყნის დიპლომატიური ავტომანქანებიც, მათ შორის საფრანგეთის საელჩოს მანქანაც. უწყების ცნობით მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

აბელ გეგია ოჯახით ძმურად სამძიმარს უცხადებს პროფესორ ბონდო ქობულიას საყვარელი დის

იზოლდა ქობულია-ცინცაძის

გარდაცვალების გამო. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ვესწრებით გასვენებას ავადმყოფობის გამო.

მეუღლე ნათია ხუციშვილი, შვილები ირაკლი, ანასტასია გუჯაბიძეები, დედა ქეთევან ნარჩემაშვილი, მამა ირაკლი გუჯაბიძე, ძმა შოთა გუჯაბიძე, რძალი ელენე ჟვანია, ბებია ნელი კოხრეიძე, მამიდა ეთერ გუჯაბიძე, მამიდაშვილი მაკა მჭედლიშვილი, სიდედრი ლეილა ბიჭიკაშვილი, სიმამრი იოსებ ხუციშვილი, ნათესავები, ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი გუჯაბიძე

პანაშვიდი 30 VI, 1 VII, მის: კოსტავას 75გ, პირველი სადარბაზო, მე-9 სართული. გამოსვენება 2 VII, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

დაკავებულია ქრთამის აღების ფაქტზე

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალური რესურსების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი შოთა ტ.

მან ერთ-ერთი შპს-ს დირექტორს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მიღებისათვის გეოლოგიური პაკეტის დაჩქარებულ ვადაში დამზადებისა და ლიცენზიის აუქციონზე გატანის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 20 000 აშშ დოლარი.

◎ გეგუთის კომპლექსის საიდუმლო

გეპატიჟებათ დიდი დავითის, გიორგისა და თამარის ნასახლარი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ისტორიული ძეგლის, „თამარის ციხედ“ წოდებული კომპლექსის შესახებ, რომლის რეკონსტრუქციის ფარგლებში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, ვიზიტიორთათვის სპეციალური საიტის შექმნა იგეგმება, გათხრების შედეგად აღმოჩენილი ექსპონატები კი ივლისის თვიდან დამთვალიერებელთათვის საგანგებოდ მოწყობილ სივრცეში დროებით ადგილზე გამოიფინება.

გეგუთის ისტორიული კომპლექსის მთავარი სასახლის მიმდებარედ მოწყობილი შუშის კონსტრუქციის საშუალებით, ვიზიტიორებს სასახლის ნანგრევების აღქმა პერსპექტივაში პირვანდელი სახით უკვე შეუძლიათ. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის განცხადებით, გეგუთის სასახლის კომპლექსის არქეოლოგიური, კვლევითი და საკონსერვაციო სამუშაოების დასრულება 2016 წლის ბოლომდე იგეგმება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის **პაატა გაფრინდაშვილის** განცხადებით, 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაიყო გეგუთის სასახლის კომპლექსზე სარეკონსტრუქციო, არქეოლოგიური და საველე სამუშაოები. არქეოლოგიური კვლევის პროცესში კომპლექსის სხვადასხვა ნაწილში გაიჭრა თხუთმეტი თხრილი, რომლის საფუძველზე გამოვლინდა აქამდე უცნობი ნაგებობები. მათგან ყველაზე ადრეული, IV-V საუკუნეების, ციხისა და მის ფარგლებში არსებული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია. პაატა გაფრინდაშვილის განმარტებით, არქეოლოგიური გათხრებისას, მანამდე ცნობილი სამის ნაცვლად, 11 ფენა აღმოჩნდა. მეცხრე ფენას, აგურით ნაგებ გრანდიოზულ სასახლეს, წინასწარი დასკვნებით, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ისა და თამარის ეპოქას უკავშირებენ.

გეგუთის ისტორიულ კომპლექსში ექსპედიციის ხელმძღვანელის, არქეოლოგ **როლანდ ისაკაძის** ინფორმაციით, სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად მთლიანად აღდგენილია გალავანი, გათხრების დასრულების შემდეგ კი რამდენიმე თვე დაეთმობა ნაპოვნი მასალების კვლევას. გეგუთის ისტორიულ კომპლექსში არქეოლოგიური გათხრებისას ახლად აღმოჩენილი ნიმუშები ვიზიტიორთათვის ადგილზევე სპეციალურად მოწყობილ სივრცეში ერთი თვით გამოიფინება. ძეგლის ნაწილის კონსერვაციის შედეგად კი დამთვალიერებელს საშუალება ექნება აღმოჩენილი ნაგებობები პირვანდელი სახით იხილოს. გეგუთის კომპლექსი ფეოდალური ხანის სამეფო ტიპის სასახლეებს შორის ერთადერთი კარგად შემონახული ძეგლია.

თათა კაჭკაჭიშვილი

სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა

პანკისის ხეობის სოფელ დუმასტურში მცხოვრები 22 წლის ასლანბეგ ბორჩაშვილი სავარაუდოდ საბრძოლო მოქმედებებს ემსხვერპლა. ოჯახი კომენტარს არ აკეთებს. ადგილობრივები კი აცხადებენ, რომ შეიტყვეს ბორჩაშვილის გარდაცვალების შესახებ, თუმცა არა აქვთ დაზუსტებული ინ-

ფორმაცია. მათივე თქმით, ახალგაზრდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. ის თურქეთში სამუშაოდ იყო წასული. როდის გადავიდა სირიაში, არ იციან.

გთხოვთ, დაეხმაროთ 18 წლის მარიამ ირემაძეს, რომელსაც ავტოავარიის შედეგად მიღებული ტრავმის გამო ფეხის შესანარჩუნებლად ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია საზღვარგარეთ.

ანგარიშის ნომერი:

GE22BG
0000000670865800

მიმღები
ირმა კანდელაკი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საშტატო „თიკუნები“

ოფიციალურის გარდა ყველა ამერიკულ შტატს აქვს კიდევ „არაოფიციალური“ სახელი.

შტატების „თიკუნები“ მათ ისტორიას, ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს, ანდა, სულაც, მშობლიური მიწის სილამაზით ტკბობას უკავშირდება. გამონაკლისს მხოლოდ ალიასკა წარმოადგენს – მას მეტსახელი არა აქვს.

მაგალითად, **კონექტიკუტი** – ესაა „კონსტიტუციის“ შტატი, რადგან 1787 წლის 7 დეკემბერს, პირველმა 13 შტატს შორის, მისი რატიფიცირება მოახდინა. **არიზონა** –„დიდი კანიონის“ შტატია, **ალაბამა** –„ბამბის“, **ჯორჯია** –„გარგარის“, **კენტუკი** – „ცისფერი ბალახისა“, **ფლორიდა** კი „ის შტატია, სადაც მზე კიაფობს“.

გარდა ამისა, ყველა შტატს აქვს საკუთარი ჰიმნი და დევიზი. მაგალითად, „ყველაფერი ქვეყნისთვის“ – ესაა **ნევადას** დევიზი, „ამერიკის გზაჯვარედინი“ – **ინდიანასი** და სხვა, ყველა შტატს თავისი განსხვავებული სიმბოლოც აქვს – ვთქვათ, ყვავილი, ფრინველი, ხე. მაგალითად, **ალასკის** სიმბოლოა კესანე, **ჰავაის** – ჰიბიკუსი, **მიჩიგანის** – ვაშლის ყვავილი და ა.შ.

ყველაზე პოპულარული მფრინავი სიმბოლოა ჩიტი **კარდინალი,** რომელიც **ინდიანის, ილინოისის, ვირჯინიის, ოჰაიოს, კენტუკის, დასვლეთ ვირჯინიის, ჩრდილოეთ კაროლინის** გერბებზეა გამოსახული. მას მოსდევს ფრინველი ჯაფარა, რომელიც თავის გერბებზე „დაასკუპეს“ **არკანზასმა, ფლორიდამ, მისისიპიმ, ტეხასმა და ტენესიმ.**

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ამერიკულ ცნობარში, სადაც შტატების ტერიტორიის ფართი, მო-

სახლეობის ოდენობა და სხვა ოფიციალური მონაცემებია შეტანილი, ასევე ყველა ზემოჩამოთვლილი ცნობაცაა მოთავსებული.

„ამ ერთხელ გეპატიება...“

მალაიზიაში მოქმედებს კანონი, რომელიც მიმართულია... ცოლ-ქმრული ღალატის თავიდან ასაცილებლად.

თავის დროზე მალაიზიელი ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცოლ-ქმრულ ღალატში მხილებულთათვის სოლიდური ფულადი ჯარიმების შემოღებასა და იძულებით სამუშაოებზე დიდი ხნით გამწესებას. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კანონი ცხოვრებისეულ სიბრძნესაც არ არის მოკლებული: ღალატში მხილებულ ქალს კანონი პირველ

ჯერზე არ სჯის, მთელი პასუხისმგებლობა საყვარელს ეკისრება. მეორე ჯერზე კი გამოსასწორებელ ციხეში პატიმრობა არც ქალს არ აცდება, ხოლო ზნეობრივი დანაშაულის ჩადენის მესამე ფაქტზე, პასუხისმგებლობა უშუალოდ... ქმარს ეკისრება – ქალის უზნეობაში დამნაშავედ უკვე ის ითვლება...

ძილი ნებისა!

ბევრ ჩვენგანს, მით უმეტეს ზაფხულის ცხელ ღამეებში, ცუდად სძინავს, თუმცა, ამის მიუხედავად, ძილის წამლების მიღებას მაინც ერიდება. ეს, პირველ ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ ერთი, ორგანიზმი ქიმიური პრეპარატებით ზედმეტად იტვირ-

თება, მეორეც ის, – ასეთმა ძილის წამლებმა მიჩვევა იცის. ამიტომაც რამდენიმე, ასე ვთქვათ, ნაცად „შინაურ რეცეპტს“ გთავაზობთ, იქნებ ამ ნაყენთა მიღება კარგად გამოძინებაში დაგეხმაროთ.

● სისხლისფერ-წითელი კუნელის ერთ სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ყვავილს 200 მილილიტრი მდუღარე წყალი დაასხით, აცადეთ გაციებამდე დაყენება და თითო სუფრის კოვზი დღეში 3-4-ჯერ მიიღეთ.

● ორ ჩაის კოვზ სვიის გირჩებს ერთი ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით, შემდეგ, თბილად შეფუთულს, ოთხი საათის განმავლობაში დაყნება აცადეთ, მერე გაწურეთ და ძილის წინ დალიეთ.

ზორეული უედეგი

დიდი ბრიტანეთის უორიკის უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ვადაზე ადრე დაბადებულ ბავშვებს მათემატიკის ნაკლები ნიჭი, ხოლო მოწიფულ ასაკში ფინანსურად უფრო დაბალი უზრუნველყოფის დონე აქვთ.

1958 და 1970 წლებში დაბადებულ მოხალისეთა გამოკვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხანდაზმულ ასაკში ვადაზე ადრე დაბადებულებს, თავიანთ დროულად დაბადებულ თანატოლებთან შედარებით, უფრო ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ. ისინი, უმეტესწილად, ფიზიკური შრომით იყვნენ დაკავებულნი, უფრო ხშირად კი სულაც უმუშევრები, და, შესაბამისად, ფინანსურ სიძნელეებსაც განიცდიდნენ.

რაც არ არი, არ არიო...

ყველამ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობამ მაინც იცის, რომ ნულზე გაყოფა არ შეიძლება. ეს კია ასე, მაგრამ, ხომ საინტერესოა – რატომ?

იმიტომ, რომ საპირისპირო მოქმედება (ანუ გამრავლება) ნოლზე შეუძლებელია. თუკი „X“-ს „0“-ზე გავყოფთ და y-ს მივიღეთ, მასში y-ის „0“-ზე გამრავლებით ისევ „X“ უნდა მივიღოთ. მაგრამ ნებისმიერი რიცხვის „0“-ზე გაყოფით ყოველთვის „0“-ს ვიღებთ. ამდენად, არაფრიდან ვერც ვერაფერს ვიღებთ!

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 599 797679; 599 360035

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **წუხელ** დამესიზმრა, რომ გამოცდა ჩავაბარე! რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ეს რეალობად იქცეს? – ეკითხება სტუდენტი პროფესორს.

– ნაკლები უნდა იძინო...

* * *

– **სარა,** შენ ხომ იცი, რომ საქმის სწრაფად კეთება ტალანტის დაიკოა...

– ვიცი, მოშე, მაგრამ ეს სექსს არ ეხება...

* * *

გოგოები ორ კატეგორიად იყოფიან:

1. კარგად ჩაცმულები;

2. და კარგია, რომ ჩაცმულები არიან.

* * *

ბიჭი ეცნობა საცოლის მშობლებს.

– ტოლია, დალევთ რამეს? – ეკითხება გოგოს მამა.

– არ ვსვამ.

– ჰმ... მოსაწყენი ცხოვრება გექნებათ თქვენ და ნასტენკას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.370; ევრო - 2.628;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.159;
100 რუბლი - 3.665; თურქული ლირა - 0.814;
აზერბაიჯანული მანათი - 1.514;
1000 სომხური დრამი - 5.975

ამინდი 30 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +31
თბილისი:	ღამე +18,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE